

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების  
დოკუმენტი

**შინაარსი**

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები .....2

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა .....6

    2.1 მრეწველობადაგადამამუშავებელიმეურნეობა .....7

    2.3 ტურიზმიდამომსახურებისსფერო ..... 13

3. მუნიციპალიტეტისინფრასტრუქტურა ..... 15

    3.1 სატრანსპორტოდაკომუნალურიინფრასტრუქტურა ..... 15

    3.2. ტურისტულიდაგასართობიინფრასტრუქტურა ..... 17

4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა ..... 18

    4.1 ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა ..... 18

    4.2. სოციალურიმომსახურეობა ..... 19

5. განათლება,კულტურა და სპორტი ..... 20

    5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა ..... 20

    5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები ..... 22

6. გარემოსდაცვა..... 26

7. ხელისუფლება..... 27

8. SWOT ანალიზი..... 31

9. მუნიციპალიტეტისხედვადამისია ..... 34

10. მუნიციპალიტეტისსაშუალოვადიანიპრიორიტეტები..... 36

დანართი..... 45


## 1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები

### გეოგრაფიული მდებარეობა

ქალაქი რუსთავი ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე 41,5 ჩრდილოეთის განედსა და 45.2 აღმოსავლეთის გრძედზე, საქართველოს დედაქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. მისი ტერიტორია 73,6 ათას კვ.კმ.-ს შეადგენს. დასავლეთიდან რუსთავს ესაზღვრება იალღუჯის და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით - გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ყოფს მდინარე მტკვარი. ქალაქის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ე.წ. „ძველი რუსთავი“, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე - ე.წ. „ახალი რუსთავი“. (იხ. დანართი N2) რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები. ქალაქი რუსთავი დედაქალაქთან თანამედროვე საგზაო სისტემით (მაგისტრალით) არის დაკავშირებული. ქალაქი თბილისის ცენტრიდან 27 კილომეტრით, დედაქალაქის საქალაქო საზღვრებიდან 8 კილომეტრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 20 კილომეტრით, სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან - 45 კილომეტრით, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან - 30 კილომეტრით არის დაშორებული. რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი - TRACECA.

ქალაქის მარცხენა სანაპიროს ესაზღვრება საქართველოს ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი და უახლოესი რკინიგზის სადგურია „რუსთავი“. ქალაქ რუსთავის ტერიტორიას კვეთს: თბილისი-ბაქოს და თბილისი-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალეები.

ქალაქ რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი - ს4 „თბილისი - წითელიხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)“. შიდასახელმწიფოებრივი გზებია: 1) შ-32 „თბილისი - გაჩიანი - რუსთავი“, სიგრძე 28 კმ; 2) შ-68 „რუსთავი (ხიდიდან)- გარდაბანი - ვახტანგისი (აზერბაიჯანის საზღვარი)“, სიგრძე 30,0 კმ; 3) შ-69 „გამარჯვება - რუსთავი“, სიგრძე 7,4 კმ. 2014 წლიდან მიმდინარეობს თბილისი-რუსთავი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი, რომელიც აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ ფინანსდება და საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-წითელიხიდი“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციას ითვალისწინებს. ავტომაგისტრალის სიგრძე 17,4 კილომეტრია. დასრულების შემდეგ, თბილისიდან რუსთავამდე გზა 15 წუთში დაიფარება და გადაადგილება მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტული გახდება.



### ბუნებრივ-კლიმატური პირობები

ქალაქ რუსთავი აშენებულია უნაყოფო სტეპის ტერიტორიაზე. მისი კლიმატი გარდამავალია ხმელთაშუა ზღვისა და სტეპის ჰავას შორის. ქალაქის ტერიტორიაზე მწვანე საფარის ნაკლებობა აღინიშნება. იგი ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრითა და მშრალი, ცხელი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა +0.3 გრადუსი, ივლისის - +25.3, ატმოსფერული ნალექების რაოდენობაა 390 მმ წელიწადში.

### წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

ქალაქს შუაზე ეყოფს მდინარე მტკვარი, რომლის მონაკვეთი ქალაქის ტერიტორიაზე 4 კმ-ს შეადგენს. ქალაქ რუსთავს ეკუთვნის მარნეულის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამზე, არსებული სასმელი წყლის რეზერვუარი/საცავები, 30 000 მ კუბი საერთო მოცულობით.

ქალაქ რუსთავს შემუშავებული აქვს „ქალაქ რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“. დოკუმენტის შედგენა დაფინანსდა USAID-ის მიერ და დადგინდა როგორც ზოგადი, ასევე ფუნქციური ზონები:

- სამრეწველო ზონა - 2020 ჰა
- საცხოვრებელი, რეკრეაციული, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა - 1162 ჰა
- საპროექტო ტერიტორია (საცხოვრებელი, რეკრეაციული, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა) - 1075 ჰა
- ტყე-ჭალის ტერიტორია - 934 ჰა
- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა - 1409 ჰა

ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე მტკვრის ხეობაში, განლაგებულია ტყე-ჭალის ტერიტორია, სადაც ძირითადად ფოთლოვანი მცენარეები ხარობს.

საჭიროა იაღლუჯის მთაზე ქარის სიმძლავრის კვლევა და ამ კვლევაზე დაყრდნობით დასკვნის მომზადება, თუ რამდენადაა შესაძლებელი ქარის ენერჯის გამოყენება ქალაქის ენერგომომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის. ქარის ენერჯის გამოყენების თვალსაზრისით პერსპექტიულად არის მიჩნეული მდ. მტკვრის ხეობის მცხეთა-რუსთავის მონაკვეთი. საქართველოს ტერიტორიაზე ქარის პერსპექტიულ 9 სადგურის პოტენციურ ტერიტორიებს შორის ქ. რუსთავის ტერიტორია შეფასებულია როგორც ქარის პერსპექტიული სადგური 60 მგვტ დადგმული სიმძლავრითა და 130 მლნ კვტ/სთ ელექტროენერჯის წლიური გამომუშავებით, რაც დაახლ. 14000 ოჯახს დააკმაყოფილებს.

ქალაქი რუსთავი შედის იმ ზონაში (მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებთან ერთად), რომელიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა მზის ენერჯის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კომპის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის.

აუცილებელია შესწავლილი იქნას ქალაქის წყლის რესურსები, მოხდეს მათი მოცულობისა და ხარისხის დადგენა, შემდგომში ამ რესურსის ტექნიკური წყლის გამოყენების მიზნით.

მდინარე მტკვრის ნაპირებზე მოიპოვება ინერტული მასალა (ქვიშა-ხრეში) და მოქმედებს წიაღით სარგებლობის ლიცენზიები.


ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწის ფონდის მაჩვენებლებია:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 300 ჰა სახელმწიფო;
- საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწა - 530 ჰა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 817 ჰა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 287 ჰა;
- კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 660 ჰა;
- კერძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 700 ჰა;
- კერძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო წყლის რესურსი (ტბა) - 3,2 ჰა.

## დემოგრაფია

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით ქალაქ რუსთავი მაცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით საქართველოს სიდიდით მეოთხე ქალაქია 125 103 (იხ. დიაგრამა №1.1) მოსახლით (ქვემოქართლის რეგიონის მოსახლეობის 29,5% ქალაქ რუსთავის მკვიდრია). სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რუსთავის მოსახლეობა 7,5%-ით გაიზარდა 2002 წლის შემდეგ, რაც განპირობებულია დედაქალაქთან სიახლოვისა და საცხოვრებელი ფართის ხელმისაწვდომი ფასის გამო. ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვემო ქართლში მიმდინარე პროცესებისგან, სადაც მთლიანი რეგიონის მოსახლეობა შემცირდა 73544 ადამიანით ანუ 14,8 %-ით (იხ დანართი N1).

დიაგრამა №1.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 2006-2016 წლებში:



რეგიონის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს შიდა და გარე მიგრაცია. მიგრაციული პროცესები, ძირითადად, გამოწვეულია რთული სოციალური მდგომარეობით და დასაქმების მცირე პერსპექტივით. სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, რუსეთში, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მეტწილად, აზერბაიჯანსა და სომხეთში მიემგზავრებიან. მოსახლეობის შემცირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის დასახლებების გარკვეული ნაწილის ქ. თბილისისთვის მიერთება.

რუსთავი მრავალეთნიკური ქალაქია, მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია (92,78%). რაც შეეხება რუსთავში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, 3,73% აზერბაიჯანელია, 1,57% - სომეხი, 1,17% - რუსი, ხოლო 1,76% - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი (ოსი, უკრაინელი, იეზიდო, ქისტი, ბერძენი, ასირიელი და სხვ). მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 1 700 კაცია.

ქალაქ რუსთავის მოსახლეობის უმრავლესობას (52,15%) ქალები შეადგენენ. მოსახლეობის 24,24% 15-29 წლის ახალგაზრდაა. რუსთავის მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით წარმოდგენილია დანართ 1-ში.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 19 646 ადამიანია (2015 წლის მდგომარეობით). ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულია 2 609 ადამიანი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის მერიაში - 249, მუნიციპალიტეტის საკრებულოში - 45, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში - 2195 და მუნიციპალურ შპს-ებში - 120 ადამიანი. რუსთავის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისშია დასაქმებული.

მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება დასაქმების თემაზე შემოსული განცხადებების აღვრიცხვა. მოქალაქეები, რომლებიც მიმართავენ მუნიციპალიტეტს დასაქმების თხოვნით, აღირიცხებიან დასაქმების ერთიან ბაზაში. შესაბამისი ვაკანტური ადგილის გამოჩენის შემთხვევაში, ხდება მათი დაკავშირება პოტენციურ დამსაქმებლებთან, ასევე დასაქმება მერიის დაქვემდებარებაში მყოფ “ა(ა)იპ“-ებში.

## 2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

რუსთავი საქართველოს სიდიდით მეოთხე ქალაქია მოსახლეობის რიცხოვნების მიხედვით და ქვემო ქართლის მთავარი ურბანული ცენტრია. ქალაქი 1940-იან წლებში გაშენდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პროცესის შედეგად და ითვლიდა 90-ზე მეტ მსხვილ და საშუალო ზომის ინდუსტრიულ საწარმოს. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში წარმოება ვარდნას განიცდიდა, დღესდღეობით რუსთავი ყალიბდება როგორც საქართველოს მთავარი სამრეწველო ცენტრი.

მართალია, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მრეწველობის სფეროს სტაბილური გაუმჯობესება, მაგრამ ის ჯერ კიდევ ბევრად სუსტადაა წარმოდგენილი რეალურ პოტენციალთან შედარებით. აქტივებისა და რესურსების გათვალისწინებით, ქმედითი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პოლიტიკის პირობებში, ქალაქს მრეწველობის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. მათ შორის, ეს ეხება აზოტის ქიმიური კომბინატის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ვაგონმშენებელი საწარმოს, ცემენტის და ლითონკონსტრუქციების საწარმოო სიმძლავრეების ზრდის პოტენციალს რუსთავში.

**ზოგადი ეკონომიკური დინამიკა და გამოწვევები** - მრეწველობის შემდგომი ზრდა დამოკიდებულია არსებული სამრეწველო პოტენციალისა და მატერიალური აქტივების სრულ და ეფექტიან გამოყენებაზე. აქტივებისა და რესურსების ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების სტიმულირებაზე მიმართული ძალისხმევა, ხარისხზე და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების მაქსიმალური წახალისება, ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემური ზრუნვა, საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, კაპიტალის ალტერნატიული ბაზრების ჩამოყალიბება და ზოგადად, სხვადასხვა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების სათანადო გამოყენება გადამწყვეტ როლს შეასრულებს მრეწველობის სექტორის განვითარებაში.

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით რუსთავი შედის რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ხუთეულში.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რუსთავში რეგისტრირებულია 19 568 ბიზნეს სუბიექტი, მათ შორის, 4 952 მოქმედია. სექციების მიხედვით, რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტები შემდეგნაირად ნაწილდებიან(იხ. ცხრილი N 2.1-2.2):

ცხრილი №2.1: ქ. რუსთავში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა სექციების მიხედვით

| სექცია | სექციის დასახელება                             | სულ   | მ.შ. მოქმედი |
|--------|--|-------|--------------|
|        | სულ  | 19568 | 4952         |
| A      | სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 52    | 19           |
| B      | თევზჭერა, მეთევზეობა                           | 2     | 2            |
| C      | სამთომოპოვებითი მრეწველობა                     | 17    | 10           |
| D      | დამამუშავებელი მრეწველობა                      | 1014  | 424          |
| E      | ელექტროენერჯის, აირისა და წყლის                | 12    | 2            |

|   |  |       |      |
|---|--|-------|------|
|   | წარმოება და განაწილება   |       |      |
| F | მშენებლობა   | 420   | 163  |
| G | ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 3996  | 2010 |
| H | სასტუმროები და რესტორნები  | 353   | 161  |
| I | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა  | 802   | 448  |
| K | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა              | 651   | 351  |
| M | განათლება  | 101   | 49   |
| N | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება  | 127   | 85   |
| O | კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა                               | 372   | 159  |
| R | საქმიანობა უცნობია   | 11649 | 1069 |

ცხრილი №2.2. ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2015 წელი):

| ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2015)   | ერთეული   | ქ. რუსთავი |
|--|-----------|------------|
| პროდუქციის გამოშვება                                       | მლნ. ლარი | 1070,9     |
| ბრუნვა   | მლნ. ლარი | 1448,2     |
| დასაქმებულთა რაოდენობა                                     | კაცი      | 19646      |
| დაქირავებულთა რაოდენობა                                    | კაცი      | 18661      |
| დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება | ლარი      | 746,2      |
| დამატებული ღირებულება                                      | მლნ. ლარი | 364,5      |
| შუალედური მოხმარება  | მლნ. ლარი | 706,5      |
| ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში                          | მლნ. ლარი | 53,0       |

## 2.1 მრეწველობა

მიუხედავად გაწეული სამუშაოსი ჯერ კიდევ რთულია იმის გარკვევა თუ რა მოცულობის მიწა ეკუთვნის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს, რამდენია ამ ნაკვეთების ჯამური ფართობი და რაოდენობა. სათანადო



ტექნიკური აღჭურვილობის არ ქონის გამო გართულებულია ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება. რომელიც შესაძლოა ეკონომიკური თვალსაზრისით საინტერესო იყოს. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ არსებობს მიწის ნაკვეთების მნიშვნელოვანი ფართობები ეგრეთ წოდებულ „რუხ ზონაში.“ ეს მიწის იმ ფონდს ეხება, რომელიც შესაძლოა არც სახელმწიფოს და არც კერძო სექტორის მფლობელობაში იყოს.

რუსთავი ისტორიულად დაარსდა როგორც ინდუსტრიული ცენტრი საქართველოს მასშტაბით. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ამავდროულად სავაჭრო კავშირების შეწყვეტის შემდეგ, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველო, რუსთავიც განიცდიდა უდიდეს ეკონომიკურ ვარდნას. თუმცა, დღემდე მრეწველობა რჩება მთავარი წამყვანი ძალად ქალაქისა და ქვეყნისათვის. 2007 წლის შეფასებებით მრეწველობაში დასაქმებულთა წილი 43.5%-ია. ქალაქის მრეწველობების უდიდესი წილი მოდის შემდეგ კომპანიებზე: ენერჯი ინვესტი, მეტალურგიული ქარხანა, ჰაიდელბერგ ცემენტი და ქართული მეტალი.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ რუსთავში დარეგისტრირებული 12.8 ათასი ბიზნეს ობიექტიდან, 13% არის მანუფაქტურულ სექტორში. რუსთავში დარეგისტრირებული კომპანიების 51% არის დღგ-ს გადამხდელი, აქედან, მხოლოდ 15%-ია წარმოების სფეროში. მიუხედავად ამისა, მთლიანი ბრუნვის 50% მოდის მწარმოებელ კომპანიებზე, რითაც მტკიცდება ამ კომპანიების ძლიერი მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკისათვის.

**ზოგადი პოზიცია** - რუსთავი ძირითადად სპეციალიზირებულია მრეწველობაში და ასევე ითვლება რეგიონულ სავაჭრო ცენტრად. ამ ქალაქის უპირატესობაა სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობა, მოწესრიგებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სიახლოვე თბილისთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვართან. თბილისთან და მთლიანად რეგიონთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია დანახარჯები; იგულისხმება ცხოვრების, მუშა ხელის, მიწისა და უძრავი ქონების ხარჯები.

რუსთავი დიდ კონკურენციას უწევს მრეწველობაში ისეთ ტრადიციულ სამრეწველო ქალაქებს როგორც არის ქუთაისი, განჯა აზერბაიჯანში და გიუმრი სომხეთში.

**ლოჯისტიკადავაჭრობა**-ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, თბილისთან სიახლოვე და სატრანსპორტო მარშრუტების სიუხვე რუსთავს აძლევს შესაძლებლობას განვითარდეს როგორც სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრი.

ბოლო პერიოდში რუსთავი გახდა უდიდესი ავტოსავაჭრო ცენტრი სამხრეთ კავკასიაში, რაც გამოწვეულია 2009 წლის დეკემბერში საავტომობილო ბაზრის თბილისიდან რუსთავში გადმოტანით. პირველი მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა უკრაინული კომპანიის „კერძო ჯგუფის“ მიერ. კომპანიამ გახსნა უდიდესი ავტო მარკეტი სამხრეთ კავკასიაში „autopapa“, რომელიც განლაგებულია დაახლოებით 50 000 კვადრატულ მეტრზე და იტევს 5000 მდე მანქანას. მომხმარებლები რუსთავში სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც ჩამოდიან. ბაზარი მიმზიდველია მათთვის დაბალი გადასახადებისა და მომსახურების სააგენტოს სიახლოვის გამო (სადაც ხდება მანქანის გადაფორმება). ბაზარზე სწრაფად იზრდება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიცია.

2012 წლის ივნისში გაიხსნა სავაჭრო ცენტრი, სადაც ძირითადად იყიდება მანქანის ნაწილები. კომპლექსი მოიცავს 500 სადგომს, საბანკო მომსახურების ცენტრს, საავტომობილოსერვის-ცენტრს და გადასაფორმებელ ადგილს. პროექტში 6 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.

**ეკონომიკური ინფრასტრუქტურა** - ინფრასტრუქტურის საკითხი ერთ-ერთი მთავარია რუსთავში არსებული მსხვილი კომპანიებისთვის, რადგან ისინი დამოკიდებულნი არიან როგორც ელექტროენერჯისა და წყლით მომარაგებაზე, რათა სრულყოფილად წარმართონ საწარმოო ციკლი, ასევე გზებსა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე, იმისათვის, რომ დროულად მიიღონ საჭირო საწარმოო რესურსები და ამის შემდეგ გაიტანონ თავიანთი პროდუქცია გასაყიდად. რუსთავმა ყველა აღნიშნული ურბანული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. დაიგო გზები, აღდგა ელექტრომიწოდების სისტემა, ასევე აღმიფხვრა წყლით და გაზით მომარაგების პრობლემაც.

**ბაზართან წვდომა** - ბაზართან წვდომა ერთ-ერთი მთავარი სიძლიერეა რუსთავისათვის, რადგან ის ძალიან ახლოს არის თბილისთან და ასევე სომხეთის და აზერბაიჯანის მოსაზღვრეა. აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზა გადის ქალაქის სიახლოვეს და გაუმჯობესებული სარკინიგზო ხაზი მალე დააკავშირებს მას შავი ზღვის პორტთან.

ადგილობრივ კომპანიებს ასევე კარგი წვდომა აქვთ საერთაშორისო ბაზართან, ისინი დამოკიდებულნი არიან თურქეთიდან, უკრაინიდან, ჩინეთიდან, რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებულ საწარმოო საშუალებებზე. საბოლოო პროდუქცია ბაზარზე აღწევს სამხრეთ კავკასიის გავლით.

მრეწველობის დარგებს შეუძლიათ დაიმკვიდრონ თავი გლობალურ ბაზარზე, თუკი ისინი მიაღწევენ საერთაშორისო სტანდარტებს.

**მიწაზე ხელმისაწვდომობა** - ისტორიულად, ქალაქი შენდებოდა საბჭოთა კავშირის დროს მომუშავე ქარხნების გარშემო. დღეისათვის მიწის ეს ნაწილი კარგად აღჭურვილია ინფრასტრუქტურით. ეს ნიშნავს, რომ მიწის ხელმისაწვდომობა პრობლემას არ წარმოადგენდეს ინვესტორებისთვის.

რუსთავის მიწის რესურსები შესაძლებელია უფრო ეფექტიანად იქნას გამოყენებული თბილისთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციის შემთხვევაში. ქალაქს შეუძლია უზრუნველყოს თბილისის მიწით და იაფი მუშა-ხელით, რომლის ნაკლებობასაც თბილისის განიცდის, ხოლო თავის მხრივ, თბილისს შეუძლია შესთავაზოს დამხმარე სერვისები, რომლებიც სჭირდება რუსთავს ინვესტორების მოზიდვისთვის.

გარდა ამისა, რუსთავი ფლობს გამოყენებულ ინდუსტრიულ მიწებს, რომლებიც წარმოადგენს საკვანძო რესურს ინვესტორების მოზიდვისთვის, რომელთაც ექნებათ წვდომა სასტრანსპორტო მარშრუტებთან, თბილისის ბაზართან და იაფ მუშა-ხელთან.

**ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა** - მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის ხელისუფლება არ ფლობს რაიმე დამატებით უფლებამოსილებას სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ის აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ქალაქის გავნითარების პერსპექტივებს. რუსთავი არის ერთ-ერთი ქალაქი საქართველოს 12 თვითმმართველი ქალაქიდან, რაც გულისხმობს, რომ მას გააჩნია უფლებამოსილება მომსახურების, ინფრასტრუქტურის, საწარმოს მხარდაჭერისა და ინვესტიციების ხელშეწყობის მხრივ.

2013 წელს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის, ავსტრიის განვითარების სააგენტოს და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კვლევა სახელად „მოქალაქეთა კმაყოფილება ადგილობრივი საჯარო სამსახურების მიმართ საქართველოში“. შედეგების თანახმად, რუსთავის მოსახლეობას გააჩნია საუკეთესო წვდომა სახელმწიფო და მუნიციპალურ მომსახურებებზე. კმაყოფილების ინდექსი ძალიან მაღალია ერთეული გამონაკლისის გარდა.

ბიზნესის გარემოს კვლევის თანახმად, კომპანიების უმეტესობა (82%) რუსთავში არსებულ ბიზნეს გარემოს ახასიათებს როგორც მიმზიდველს, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით:

- კვალიფიციური ადამიანური რესურსი და შრომის დაბალი დანახარჯები;
- მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა;
- ხელმისაწვდომი მიწის რესურსი;
- განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობის გამო ბაზრებთან წვდომა, მათ შორის საერთაშორისო ბაზრებთან;
- მოქნილი და კეთილგანწყობილი მარეგულირებელი სისტემა;
- ლოჯისტიკის სექტორის განვითარების პოტენციალი, მათ შორის ავტომობილების ბაზარი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის პროაქტიურობა და ფართომასშტაბიანი ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა, ვინაიდან რუსთავი წარმოადგენს 12-დან ერთ-ერთ თვითმმართველ ქალაქს და გააჩნია ფართო უფლებამოსილებები;
- რუსთავის მერიის მიერ გრანტებისა და ინვესტიციების მოზიდვის კარგი პრაქტიკა.

მუნიციპალიტეტის როლი კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება, ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების უზრუნველყოფა, ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

**მეტალურგია და სამშენებლო მასალები** - მეტალურგიის წარმოების პიკი დაფიქსირდა 1970-იან წლებში. რუსთავი ამ დროს წელიწადში საშუალოდ 1.5 მილიონ ტონა მეტალს უშვებდა და დასაქმებული იყო 12 000 ადამიანი. საწარმო დახურეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ის 10 წელზე მეტ ხანს არ ფუნქციონირებდა. ამ დროის განმავლობაში ფიზიკური კაპიტალის დიდი ნაწილი იშლებოდა ჯართად. შემდგომში ძირითადი საწარმოო მანქანების არ არსებობის გამო, საწარმო ძირითადად გადავიდა კონსტრუქციული ინდუსტრიული პროდუქტის წარმოებაზე. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა წარმოდგენილია ორი კომპანიით, ესენია: რუსთავის ფოლადი და ქართული კომპანია. მუშაობა დაიწყო 2005 წელს ძველი საწარმოო ტექნიკით. დღევანდელი მონაცემებით დასაქმებულია 2000-მდე ადამიანი და ისინი ძირითადად ორიენტირებული არიან ჯართის დამუშავებასა და უჟანგავი ფოლადის მიღების დამზადებაზე. ქარხანა წელიწადში მთლიანად უშვებს 80 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქციას. აქედან 45 მილიონი მეტალის წარმოებაზე, ხოლო 35 მილიონი მეტალის მიღების წარმოებაზე მოდის. წარმოებული პროდუქციის ორი მესამედი ექსპორტზე გადის.

დიდი მწარმოებელია ბრიტანულ-ინდური საწარმო „ჯეოსთილი“, სადაც დასაქმებულია 4000-მდე ადამიანი. ეს არის გაერთიანება „JSW India“ და „G Georgian Steel Group Holding“ შორის და მიიჩნეულია ერთ-ერთ უდიდეს უცხოურ ინვესტიციად საქართველოში. კომპანია აწარმოებს მეტალს, რომელიც გამოიყენება მშენებლობისთვის, როგორც საქართველოში ისე მთლიანად სამხრეთ კავკასიაში. ის ძირითადად იმპორტირებულ საწარმოო საშუალებებს იყენებს.

სექტორის კიდევ ერთი დიდი წარმომადგენელია „ჰაიდელბერგ ცემენტი“, გერმანული ინდუსტრიული ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიოს 50 ქვეყანაში. აღნიშნული ქარხანა ამარაგებს ცემენტით ადგილობრივ ბაზარს და ასევე ყიდის თავის პროდუქციას აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

**ქიმიური წარმოება** - აზოტის სასუქი არის საქართველოს სიდიდით მეორე საექსპორტო საქონელი, რომელთა უმრავლესობა წარმოებულია რუსთავში არსებული ქარხნის მიერ. ეს ქარხანა უდიდესი სასუქის მწარმოებელია სამხრეთ კავკასიაში. კომპანია ასევე აწარმოებს სხვა ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შორის, აზოტმჟავას და ამონიუმის ნიტრატს. პროდუქცია გადის ექსპორტზე მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში - ესპანეთში, იტალია, საბერძნეთსა და მაროკოში. ქარხანა აშენდა 1950-იან წლებში და დღესაც რჩება ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებლად სამხრეთ კავკასიაში. აქ დასაქმებულია რუსთავში მცხოვრები 2000-მდე ადამიანი.

**სხვა მრეწველობა** - „ფილიმასკა-ჯი“ ქართულ-იტალიური ერთობლივი ტყავის საწარმოა, რომელიც დაარსდა 2010 წელს. საწარმოს პარტნიორმა იტალიური კომპანია „ტიმეკო“-მ დააბანდა 3 მილიონი დოლარი საწარმოო აღჭურვილობაში. პროდუქციის 80% ექსპორტზე იტალიაში გადის.

სააქციო საზოგადოება „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ აწარმოებს მრავალი სახის ახალი თაობის მატარებლის ვაგონებს. კომპანია ასევე ასრულებს ყველა ტიპის სამუშაოს: მოდერნიზაცია, შეკეთება, კაპიტალური რემონტი. კომპანიას სურს ახალი თაობის მატარებლების ექსპორტზე გატანა ცენტრალური აზიის ქვეყნებში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში.

1999 წელს ს.ს „ყაზბეგმა“ დაიწყო ორიგინალური სასმელის „ცივი ჩაისა“ და ლიმონათის წარმოება. რუსთავის ლუდისა და გამაგრილებელი სასმელების ქარხანის ძირითადი საექსპორტო ბაზარი შემდეგი ქვეყნებია: რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი. „ყაზბეგის“ ლუდისა და ლიმონათის შექმნა შესაძლებელია ამერიკისშეერთებულ შტატებში, საბერძნეთში, კვიპროსზე, გერმანიაში, ავსტრიაში, დიდბრიტანეთში, ირლანდიაში - სულ მსოფლიოს 16 ქვეყანა.

**ბოლო წლებში განხორციელებული ინვესტიციები** - "ეი ჯი ტელეკომის" ელექტრონული ნაკეთობების საწარმო „ეი-ჯი მიკროელექტრონიქსი“ რუსთავში ქართულ-აზერბაიჯანული ინვესტიციით 2013 წელს გაიხსნა. საწარმომ 2014 წელს სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, 606 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობის თანხა მიიღო. კომპანიის ხელმძღვანელობა ახლო მომავალში საწარმოს ტერიტორიაზე შეფუთვისა და სასაწყობე საამქროების მშენებლობასაც გეგმავს. "ეი ჯი ტელეკომის" საწარმო „ეი-ჯი მიკროელექტრონიქსი“ ქართველი მომხმარებლებისთვის, ასევე საექსპორტოდ, ელექტრონულ საქონელს აწარმოებს. ქარხანა მაღალი ხარისხის იაპონურ, ამერიკულ, სამხრეთ კორეულ და საუკეთესო ხარისხის ჩინურ დაზგებზე მუშაობს და მომხმარებელს მაღალი ხარისხის ტექნიკას სთავაზობს. AGM-ის ტიპის ქარხანა ერთადერთია ამიერკავკასიაში. ქარხანა ორიენტირებულია შემდეგი ტექნიკის წარმოებაზე:

DVB-C, DVB-T/T2, DVB-S სააბონენტო მოდელები; მაგისტრალური და სახლისთვის განკუთვნილი გამაძლიერებლები; ოპტიკური მიმღებები, გამა- ძლიერებლები; სააბონენტო მოდელები; GMM ტერმინალი (სმარტფონები) ტელევიზორები; PC პლანშეტები; ელექტრონული წიგნები; ენერჯის ელექტრონული მრიცხველები; უსაფრთხოების დაცვის სხვადასხვა სისტემები, მსოფლიოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კომპანია ციფრული მიმღებების STB (STB)-საც აწარმოებს.საწარმოში ადგილობრივ მუშა-ხელთან ერთად, ილიას უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებიც არიან დასაქმებული, კომპანია მომავალშიც გეგმავს სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მიცემას.

2015 წელს რუსთავში „პანექსის“ ახალი საწარმო გაიხსნა. პროექტი საქართველოს საპარტნიორო ფონდმა და ადგილობრივმა კომპანიამ ICES“-მა განახორციელეს. ახალი საწარმო სამშენებლო მასალას ე.წ. სენდვიჩ პანელებს აწარმოებს, რომელიც ინდუსტრიული დანიშნულების შენობების მშენებლობისას გამოიყენება. საწარმო რუსთავის გზატკეცილზე აშენდა და თანამედროვე იტალიური დანადგარებით აღიჭურვა. პროდუქციის 60 პროცენტი საქართველოში იყიდება, ხოლო დარჩენილი ნაწილი ექსპორტზე - ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში - გადის. საწარმოო ხაზის სიმძლავრე წელიწადში 2.8 მლნ მ 2 პანელია. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 6 მლნ აშშ დოლარია, ხოლო ფონდის მონაწილეობა პროექტში - 49%.

შპს „ალფაპეტი“ 2007 წელს ქალაქ რუსთავში, ინდუსტრიულ ზონაში დაფუძნდა EBRD-ის (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) დაფინანსებით. კომპანიამ ინტენსიური წარმოება 2008 წლის ივნისიდან დაიწყო. საწარმოს საქმიანობას წარუადგენს პლასტიკური ბოთლებისნახევარფაბრიკატების წარმოება. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რომლის მომწოდებელიცაა კანადური ფირმა “Husky”. გასულ წელს მოხდა “ალფაპეტის“ გადაიარაღება და უახლესი დანადგარებით აღჭურვა. “ალფაპეტის“ პარტნიორებია “კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია”, „ბორჯომი“, „Clariant“, “Husky”, „Green Box”, “HSBC ბანკი”, “VTB ბანკი”, “GPI”, “Castel Georgia”.

ცხრილი №2.3. 2013-2016 წლებში ქალაქ რუსთავში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციები:

| ინვესტიციები 2013-2016 |   |                           |                        |           |            |
|------------------------|---|---------------------------|------------------------|-----------|------------|
| N                      | რა ინვესტიცია ხორციელდება   | ვინ ანხორციელებს          | ინვესტიციის მოცულობა   | დაწყება   | დამთავრება |
| 1                      | ერთჯერადი პლასტმასის ჭიქების და ასაკვები პროდუქტებისკონტეინერების საწარმო | შპს "კავკასპაკი"          | 1 000 000 ა.შ.შ.დოლარი | 2012 წელს | 2014 წელს  |
| 2                      | მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობის საწარმო                            | შპს „ჯეოპროდაქტს კომპანი“ | 144 000 ლარი           | 2015 წელს | 2016 წელს  |
| 3                      | საწარმო აწარმოებს სამშენებლო მასალას სენდვიჩ პანელებს                     | შპს„პანექსი“              | 6 000 000 ა.შ.შ.დოლარი | 2014 წელს | 2015 წელს  |

|    |   |                                 |                           |           |           |
|----|---|---------------------------------|---------------------------|-----------|-----------|
| 4  | დათბუნებული გადახურვის მასალისა და კედლის პანელების მწარმოებელი საწარმო | შპს "ჯიარსი"                    | 2 192 000 ლარი            | 2015 წელს | 2016 წელს |
| 5  | პლასტმასებისა და მათი ნაწარმის მწარმოებელი საწარმო                      | შპს „ჯეოპოლსი“                  | 774 980 ლარი              | 2015 წელს | 2016 წელს |
| 6  | ფეხბურთისაკადემია   | საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია | 5 000 000 ლარი            | 2014 წელს |           |
| 7  | მაკდონალდსი   | შპს "თ თაკრესტორნები"           | 5 000 000 ლარი            | 2015 წელს | 2016 წელს |
| 8  | 14 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა                          | შპს "რუსთავი 2015"              | 5 000 000 ლარი            | 2016 წელს | 2019 წელს |
| 9  | სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმო                                | შპს "რეზასი"                    | 1 444 136 ლარი            | 2015 წელს | 2017 წელს |
| 10 | საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა  | შპს "რუსთავიდეველ ოპერი"        | დაახლოებით 2 000 000 ლარი | 2016 წელს | 2018 წელს |
| 11 | ელექტრონული ნაკეთობების საწარმო   | შპს "ეი-ჯიმიკროელექტრონიქსი"    | 3 000 000 ა.შ.შ.დოლარი    | 2013 წელს | 2014 წელი |

### 2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

ქალაქი რუსთავი საქართველოს მასშტაბით ყველაზე ახალგაზრდა ქალაქად არის მიჩნეული, ის არ გამოირჩევა ისტორიული ძეგლების სიმრავლით, რაც განაპირობებს ისტორიული-კულტურული ტურიზმის სფეროს განვითარების ნაკლებ შესაძლებლობას. ამჟამინდელი მონაცემებით არ არის შესწავლილი ქალაქის ტურისტული პოტენციალი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალაქში მატულობს ტურისტებისრაოდენობა.

ტურისტების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორია თანამედროვე სტანდარტების მქონე ავტოდრომის არსებობა. „რუსთავის ავტოდრომი“ სარბოლო ტრასა 1978 წელს აშენდა. რუსთავის ავტოდრომის სრული რეკონსტრუქცია 2012 წელს განხორციელდა კერძო კომპანიის „სტრომოსის“ მიერ. დღეს ტრეკი არის სრულიად განახლებული, აშენდა ახალი 2000 მაცურებელზე გათვლილი ტრიბუნა, რეკონსტრუქციის შემდეგ ავტოდრომი პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ უსაფრთხოების ნორმებს, დღეისათვის ავტოდრომი არაერთი ეროვნული და საერთაშორისო რბოლების მასპინძელია. 2012 წელის 29 აპრილიდან დღემდე ტრეკზე ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, როგორც არის 8 ეტაპიანი Legends Cars და Formula Alfa ეროვნული ჩემპიონატი, დრაგ-რეისინგი, წყვილთა

რბოლა, დრიფტი, კარტინგი, მოტოდრაგი. 2015 წელს რუსთავის ავტოდრომზე ჩატარდა საერთაშორისო ელექტრონული მუსიკალური ფესტივალი „Global Gathering“.

რუსთავის მასშტაბით ტურისტების მაჩვენებლის ზრდა განპირობებულია სამხრეთ კავკასიაში უდიდესი ავტო სავაჭრო ცენტრის გახსნით. მომხმარებლები რუსთავში არამარტო მეზობელი ქვეყნებიდან - სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, არამედ შუა აზიის ქვეყნებიდანაც ჩამოდიან, რაც განპირობებულია ბაზარის მიმზიდველობით, რომელსაც განსაზღვრავს მომხმარებლისთვის მისაღები დაბალი ფასი, მანქანის გაფორმების გამარტივებული პირობები და ხელსაყრელი ადგილმდებარეობა.

აღიშნული გარემოებების გათვალისწინებით გაჩნდა მოთხოვნილება სასტუმროებისა და მცირე საოჯახო სასტუმროების შექმნისა. 2011 წლიდან 2015 წლამდე ქალაქს შეემატა 7 ახალი სასტუმრო.

2013 წელს, „ახალგაზრდობის განვითარებისთვის კავკასიის თანამშრომლობის ფონდის“ (შვეიცრია), გაიხსნა სასტუმროს ტიპის „საერთაშორისო სკაუტური ცენტრი რუსთავი“, რომელიც მასპინძლობს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ნაციონალურ და საერთაშორისო ტრენინგებს, სემინარებს, გაცვლით პროგრამებს, ტურებს, ფესტივალებს და სხვა ღონისძიებებს. ყოველწლიურად ცენტრს რამდენიმე ათასი ახალგაზრდა სტუმრობს როგორც საქართველოდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ცენტრი ასევე ხელს უწყობს ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის ზრდას ქალაქის მასშტაბით.

### 3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

რუსთავმა ყველა აღნიშნული ურბანული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა: დაიგო გზები, აღდგა ელექტრომიწოდების სისტემა, ასევე აღმიფხვრა წყლით და გაზით მომარაგების პრობლემაც.

#### 3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

**ტრანსპორტი**- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გადაადგილებისა და ტვირთების გადატანის ერთადერთ საშუალებას საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია მუნიციპალური და კერძო სატრანსპორტო ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების სახით. მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტი“, რომლის ავტოპარკში შედის 25 ერთეული ტექნიკა, M2 კატეგორია - 20 ერთეული და M3 კატეგორია - 5 ერთეული. ჯამში მუნიციპალური ტრანსპორტი წელიწადში გადის დაახლოებით 1 443 600 კმ-ს. 24 ერთეული ტრანსპორტის საწვავის ტიპს წარმოადგენს დიზელი, ხოლო ერთი ერთეული მოიხმარს გაზს. მუნიციპალური ტრანსპორტის დიზელის ხარჯი წელიწადში შეადგენს 252 000 ლიტრს, ხოლო გაზის - 10800 კუბს.

მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობეს მიზნით იგეგმება 27 ერთეული ახალი M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ტექნოლოგიებით. ტრანსპორტი იქნება დიზელის EURO 5 სტანდარტის ძრავზე მომუშავე, რაც გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევის რაოდენობას ამცირებს და გარემოს დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. სატრანსპორტო საშუალება ადაპტირებულია შშმ პირთათვის. სერვისის გაუმჯობესების მიზნით ავტობუსების გაჩერებაზე დამონტაჟებულია საინფორმაციო ტაბლოები.

**გზები** - ქალაქ რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალის ს4 - „თბილისი - წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)“. შიდა სახელმწიფოებრივი გზებია: 1) შ-32 „თბილისი-გაჩიანი-რუსთავი, სიგრძე 28 კმ; 2) შ-68 „რუსთავი (ხიდიდან)- გარდაბანი - ვახტანგისი (აზერბაიჯანის საზღვარი)“, სიგრძე 30,0 კმ; 3) შ-69 „გამარჯვება - რუსთავი“, სიგრძე 7,4 კმ. შიდა სახელმწიფოებრივი გზები მოწესრიგებულია.

მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული საავტომობილო გზები და შიდა ეზოების 90 % მოასფალტებულია, დარჩენილი 10% მოსაწესრიგებელია.

მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული საავტომობილო გზები და შიდა ეზოების 20% მოასფალტებულია, დარჩენილი 80% მოსაწესრიგებელია.

გარკვეული რაოდენობის საპროექტო დოკუმენტაცია შესყიდულია ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციაზე, რომელიც საჭიროებს დაფინანსებას.

ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელდა დაახლოებით 400.000 მ2 ფართობის და 19,324,000,00 ლარის ღირებულების გზებისა და შიდაკვარტალური ეზოების ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია. რეაბილიტაციას საჭიროებს დაახლოებით 20კმ მონაკვეთის გზის საფარი.



**წყალმომარაგება** - მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგებას 24 საათიანი რეჟიმში უზრუნველყოს კერძო კომპანია შპს „რუსთავის წყალი“. მცირე დაზიანებების შემთხვევაში ავარიების აღმოფხვრა უმოკლეს ვადებში ხდება ამავე კომპანიის მიერ. მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ძირითად წყაროს წარმოადგენს ხრამის სათავო ნაგებობება.

**კანალიზაცია** - საკანალიზაციო სისტემები კერძო კომპანიის მფლობელობაშია (შპს „რუსთავის წყალი“), რომელიც საკუთარი სახსრებით ახორციელებს მათ მოვლა-პატრონობას.

**ენერგომომარაგება**- მოსახლეობის ენერგო მომარაგება ხორციელდება უწყვეტად, მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე. ენერგომომარაგება კერძო კომპანიის მფლობელობაშია (შპს „ენერგო-პროჯორჯია“). გაზით მომარაგებას უზრუნველყოფს „სოკარჯორჯია“, რომელიც ახდენს ავარიების აღმოფხვრას.

**მერების შეთანხმება და ენერგოეფექტური ღონისძიებები** - 2011 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა „მერების შეთანხმებას“ და შეუერთდა ევროპულ კამპანიას/მიზანს, რათა ნებაყოფლობით შეამციროს ნახშირორჟანგის CO<sub>2</sub>-ს გამოფრქვევა ქალაქის ტერიტორიაზე 20%-ით 2020 წლისათვის. იმისათვის, რომ აღებული ვალდებულება წარმატებულად განხორციელდებოდა, შემუშავდა „მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმა (SEAP)“, რომელიც 2012 წელს წარედგინა ევრო კომისიის სამდივნოს, სადაც მოხდა რუსთავის SEAP-ის განხილვა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და დამტკიცება. სამოქმედო გეგმაში შერჩეულია 4 ძირითადი სექტორი საიდანაც შესაძლებელია ნახშირორჟანგის ემისიების შემცირება:

- მუნიციპალური შენობები;
- მუნიციპალური ტრანსპორტი;
- გარე განათება;
- გამწვანება.

„მერების შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა მრავალი პროექტი განახორციელა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების დახმარებით. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა უკრაინის „ენერგოეფექტური ქალაქების ასოციაციასთან“ და საქართველოს „ენერგოეფექტურ ცენტრთან“ პარტნიორობით მოიპოვა ევროკავშირის გრანტი პროექტისათვის - „მერების შეთანხმების შესაძლებლობების განვითარების მოდელი უკრაინასა და საქართველოსათვის“. პროექტით გათვალისწინებული იყო 2012 - 2015 წლების განმავლობაში ქალაქის მასშტაბით ენერგო დღეების ჩატარება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე, ქალაქის ენერგო-პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და საპილოტე პროექტის განხორციელება. შესაბამისად 21-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ფილიალში განხორციელდა კედლების დათბუნება, არსებული ფანჯრების შეცვლა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით, ცენტრალური გათბობის დამონტაჟება და მზის კოლექტორების დაყენება.

2014-2015 წლებში „BP საქართველოს“ დაფინანსებით კულტურისა და დასვენების პარკში განხორციელდა არსებული ტბის ირგვლივ გარე განათების მძლავრი ვარვარა ნათურების ჩანაცვლება ეკო ნათურებით, ენერგო მოხმარებისა და ნახშირორჟანგის გამოფრქვევის შემცირების მიზნით.

2015 წელს ევროკავშირის საგრანტო კონკურსი მერების შეთანხმების სადემონსტრაციო პროექტების პროგრამის ფარგლებში (CoMDeP) „მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის ცენტრისა (SDAP)“ და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ერთობლივი პროექტი „ქალაქ რუსთავში სამი საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია ენერგოეფექტურობის მაღალი სტანდარტის მიღების და ნახშიროჟანგის ემისიების შემცირების მიზნით“. სადემონსტრაციო პროექტი რუსთავის #40, #41 და #6 საბავშვო ბაღებში მიზნად ისახავდა შენობების რეკონსტრუქციას თანამედროვე ენერგოეფექტური ღონისძიებების გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში, საპილოტედ შერჩეულ სამ საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობის, მეტალო-პლასტმასის ფანჯრების, ენერგოეფექტური ნათურების და ცხელი წყლის მომარაგებისთვის მზის კოლექტორების მონტაჟი განხორციელდა, ასევე მოხდა ყველა გარე კონსტრუქციის დათბუნება.

**გარე განათება** -მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი სექტორს წარმოადგენს გარე განათება. ქალაქის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ძირითადად აღჭურვილია ვარვარა ნათურებით, რამდენიმე ქუჩაზე მოხდა LED სისტემის სანათის მონტაჟი. მუნიციპალიტეტის მიერ შეიქმნა ააიპ „უზრუნველყოფა“, რომელიც ემსახურება ქალაქის გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობას. მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის გარე განათების ქსელის გამართულად მუშაობა და მისი მოვლა-პატრონობა.

### 3.2. ტურისტული, რეკრეაციული და გასართობი ინფრასტრუქტურა

ქალაქის სარეკრეაციო ზონების მოვლა-პატრონობის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაციის, თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალური ქონების (მიწა, ტყე, სხვა მწვანე საფარი, წყალი და სხვ.) მოვლა-პატრონობას. მის ფუნქციებში ასევე შედის პარკის ტერიტორიის დაცვა, დასუფთავება, ტყისა და სანერგის მოვლა-პატრონობა, ქალაქის გამწვანება, ქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა (გაზონების გაკრეჭვა, გამარგვლა, სკვერების მოვლა-დასუფთავება, ხეების ძირების შეთეთრება, შემობარვა, ავარიული ხეების მოჭრა-გადაბეღვა, ყვავილების დარგვა, ნიადაგის დაბარვა-გასწორება და სხვ.).

ქალაქ რუსთავის ცენტრში მდებარეობს ბუნებრივი ტყეპარკი „რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი“, სადაც ხელოვნური ტბაა. 2012 წლიდან მიმდინარეობს პარკის რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე განხორციელებულია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების უმეტესი ნაწილი. 2016 წელშიც იგეგმება პარკის ინფრასტრუქტურისთვის გაუმჯობესებისთვის სხვადასხვა პროექტების განხორციელება. ქალაქის ტერიტორიაზე 8 სკვერია, აქედან რამდენიმე რეაბილიტირებულია და რამდენიმე საჭიროებს განახლებას (იხ.დანართი N3).

## 4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში 23 სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა მოქმედებს, მათ შორის 4 განეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვას, რომლებიც ძირითადად მიმართულია დაავადებების მკურნალობისთვის.

### 4.1 ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა

რუსთავში ფუნქციონირებს 20 სამედიცინო დაწესებულება და 10 ამბულატორია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომია, მათ შორის 4 სტაციონარული მრავალპროფილური საავადმყოფო, 5 ამბულატორიული პოლიკლინიკა, 2 სამშობიარო სახლი. გაიხსნა ახალი ფსიქო-ნევროლოგიური კლინიკა, რომელიც ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტების როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ მომსახურებას ითვალისწინებს. ქალაქში ასევე არის სისხლის გადასხმის ცენტრი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო და კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერები. ფუნქციონირებს ეროვნული სკრინინგ-ცენტრის რუსთავის განყოფილება, რომელიც ძუძუს კიბოს პრევენციის მიზნით შეიქმნა. ქალაქში არსებობს არაერთი დიაგნოსტიკური ცენტრი, სამედიცინო, სტომატოლოგიური კლინიკა და კერძო სამედიცინო კაბინეტი.

ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა შეადგენს 303-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 46-ით. საწოლების უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე შეადგენს 241,2-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 31,4 ერთეულით. ექიმთა რაოდენობაა 616, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 89-ით. საექთნო პერსონალის რაოდენობაა 438, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 42-ით.

გეგმიური ქირურგიული ოპერაციები 2015 წელს იყო 7981, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 3050-ით, ხოლო გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები - 918, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 252-ით.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ სამსახურში მიმართვიანობამ შეადგინა 254554, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 73637-ით. სასწრაფო დახმარების გამოძახება ყოველწლიურად მზარდია და 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 17093-ით და შეადგენს 39363-ს.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტში გავრცელებულ დაავადებებს: შაქრიანი დიაბეტი აქვს 2974 პირს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 1005-ით; გულის იშემიური ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 248-ით და შეადგენს 583-ს; ჰიპერტენზიული ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 2297-ით და შეადგენს 2840-ს; პირველად დადგენილი გულის მწვავე ინფარქტი 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 416-ით და შეადგენს 107-ს; ცერებროვასკულური ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 416-ით და შეადგენს 456-ს; ბრონქული ასთმა და ასთმური სტატუსი 2012 წელთან შედარებით შემცირებულია 34-ით და შეადგენს 77-ს, ხოლო პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეები 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 264-ით და შეადგენს 319-ს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან აფინანსებს მთელ რიგ პროგრამებს. აღნიშნული ღონისძიებების

განმახორციელებელი ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“.

რუსთავის მუნიციპალიტეტის ინიციატივით არაერთი აქცია ჩატარდა ცალკეული სამიზნე ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ენდემური დაავადებებიდან დამახასიათებელია ანემია, ჩიყვი, "C" ჰეპატიტი, ონკოლოგია, გულ-სისძარღვთა დაავადებები. რუსთავის მუნიციპალიტეტის ინიციატივით თვალის მიკროქირურგიული ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯთან“ თანამშრომლობით მოსახლეობას არაერთხელ გაეწია უფასო სამედიცინო მომსახურება.

მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ძირითადად შესაძლებელია ქალაქის მაცხოვრებელთათვის, მაგრამ, რადგან მომართვიანობა არის ძალიან მზარდი, ხოლო მომსახურების ხარისხი სხვადასხვა, ამიტომ რუსთავის მაცხოვრებლები ხშირად მიმართავენ ქალაქ თბილისის კლინიკებს, რაც დაკავშირებულია ხარჯების ზრდასთან და ამავდროულად სწრაფი რეაგირება ფერხდება. (იხ დანართი N4)

#### 4.2. სოციალური მომსახურება

რუსთავში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა 9844 ანუ ქალაქის მოსახლეობის 7,9%-ია, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გარკვეული რყევებით ხასიათდებოდა და საბოლოო ჯამში შემცირებულია 365 ერთეულით.

რუსთავში ასაკის მიხედვით პენსიის მიმღებთა რაოდენობაა 18 486, ხოლო კომპენსაციის - 760 და სოციალური პაკეტით - 4184 ადამიანი. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 3196-ს, მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 663-ს, ხოლო პოლიტრეაბილიტაციის რაოდენობა - 14. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა გაზრდილია 88 პირით, ხოლო მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეაბილიტაციის რაოდენობა შემცირებულია შესაბამისად 77 და 28 ერთეულით. ამასთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ დევნილთა შემწეობას, შეადგენს 5156 პირს, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში გაზრდილია 337 პირით.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 22, ჯანმრთელ ბავშვთა დღის ცენტრით - 22, შშმ ბავშვთა დღის ცენტრით - 12, მცირე საოჯახო ტიპის სახლებით - 6, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით - 28, ბავშვთა რეაბილიტაციით - 5, ბავშვთა ადრეული განვითარებით - 33, 18 წლისა და მეტი ასაკის შშმ პირთა დღის ცენტრით - 36, დამხმარე საშუალებებით - 31 ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

2015 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 19 სოციალური პროგრამა. მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდებდა ა.ა.ი.პ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრი“, რომელიც ანხორციელებს შემდეგ პროგრამებს: ადრეული დახმარება და ოჯახის მხარდაჭერა, ინკლუზიური განათლების, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, არტ-თერაპია და შრომითი

თერაპია. ცენტრის პროგრამებით სარგებლობს 133 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 2-დან 30 წლამდე პირი.

ა(ა)იპ „რუსთავის მოხუცებულთა სახლი“ 1995 წლიდან ფუნქციონირებს და რუსთავში მცხოვრებ უსახლკარო, მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს ემსახურება. მოხუცებულთა თავშესაფარში ამჟამად 47 ბენეფიციარია. ცენტრი რეაბილიტირებულ იქნა იაპონიის საელჩოსა და რუსთავის თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერით 2012 წელს.

2013 წლიდან ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს სოციალური საცხოვრისი, პროექტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა. დღევანდელი მონაცემებით სოციალურ საცხოვრისით 12 ოჯახი სარგებლობს. 2016 წელს შეიქმნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფისა და რეგისტრაციის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფი. მიმდინარეობს მოქალაქეთა რეგისტრაცია მათივე მიმართვიანობის საფუძველზე. ამასთან, ბოლო 4 წლის მანძილზე რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალური საცხოვრისის მაძიებელთა 2500-მდე განცხადებაა დარეგისტრირებული. აქედან 500-მდე ოჯახი რეალურად საჭიროებს თავშესაფარს.

მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობაა 194 ოჯახი, ომის მონაწილე 2094 ვეტერანი(კომუნალური, ტრანსპორტის, ერთჯერადიმატერიალურიდახმარება), იძულებით გადაადგილებული 5896 პირი, მათ შორის, 13-სგაეწიათსარიტუალომომსახურება. ასევე, 194 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია მატერიალური დახმარება.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ რუსთავის ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს (იხ დანართი N5).

## 5. განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

### 5.1 განათლება

2008 წელს რუსთავის ბაგა-ბაღებს იურიდიული სტატუსი შეეცვალა, შეიქმნა მუნიციპალური ა(ა)იპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“, რომელიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მუნიციპალური სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობაა 20 ერთეული, კერძო სკოლამდელი დაწესებულებაა 4, საერთო ჯამში სკოლამდელი აღსაზრდელების რაოდენობა შეადგენს - 6 100 ბავშვს, რომელთაც ემსახურება 181 აღმზრდელი და 186 აღმზრდელის თანაშემწე.

რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 44 საბავშვო ბაღი, რომელიც გადანაწილებული იყო ქალაქის ტერიტორიაზე დასახლებების მიხედვით. 80-90-იანი წლებში ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ შედეგად მოიტანა ბაღებში ინფრასტრუქტურის მოშლა და ინტერესის დაკარგვა მშობლების მხრიდან. სკოლამდელი აღსაზრდელი დაწესებულებების უფუნქციოდ დარჩენილმა შენობა-ნაგებობებმა სხვა დატვირთვა მიიღო. დღევანდელი მონაცემებით ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 44 ბაღიდან ფუნქციონირებს მხოლოდ 20 საბავშვო ბაღი, 24 საბავშვო ბაღის ფილიალები გასხვისებულია, შესახლებულია იძულებით გადაადგილებული პირები ან

განთავსებულია მუნიციპალური სამსახურები. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მოსახლეობის რაოდენობა და დემოგრაფიული მაჩვენებელი მატულობს და შესაბამისად იზრდება სკოლამდელი აღსაზრდელების რიცხვი. 2013 წლიდან მთავრობის გადაწყვეტილებით სკოლამდელი განათლება გახდა უფასო და ბაღში მიღება ხდება ონლაინ რეგისტრაციის საფუძველზე. პირველივე რეგისტრაციის საფუძველზე ნათლად გამოჩნდა, რომ ფილიალებში არსებული ვაკანტური ადგილები ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნას, რამაც გამოიწვია დიდი უკმაყოფილება მოსახლეობის მხრიდან. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ადგილობრივმა თვითმმართველობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებების, კერძოდ რამოდენიმე ბაღში აღადგინა უფუნქციო ოთახები დამატებითი ჯგუფების გახსნის მიზნით, შეძლებისდაგვარად გაზარდა აღსაზრდელთა რაოდენობა ჯგუფებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღსაზრდელთა დღევანდელი რიცხვი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს (ზოგიერთ ასაკობრივ ჯგუფებში აღსაზრდელთა რაოდენობა 40-42 შეადგენს). მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა რეგისტრაციის მონაცემებით ბაღის გარეთ დარჩენილი ბავშვების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 1500 ბავშვს. დარღვეულია ტერიტორიული კუთვნილების (განაწილების) სისტემა და ამიტომ მოსახლეობა იძულებულია იმ ფილიალში დაარეგისტრიროს აღსაზრდელი, რომელშიც არის ვაკანტური ადგილები.

თვითმმართველობის მიზანია ეტაპობრივად მოახდინოს ბაღების რეაბილიტაცია და ახალი ინვენტარით აღჭურვა. საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელია ქალაქში არსებული 4 ბაღის რეაბილიტაცია და გაფართოება და 3 ახალი შენობის აშენება.

ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს მუნიციპალურია(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“, რომლის შემადგენლობაში შედის:

ა) „ნიკო ფიროსმანის სახელობის სამხატვრო სკოლა“, სადაც 9 მასწავლებელი ემსახურება 85 მოსწავლეს. 2014 წელს გამოიცვალა ფანჯრები და სახურავი. შენობა საჭიროებს შიდა და გარე რეაბილიტაციას და ასევე ახალი ინვენტარით აღჭურვას;

ბ) სამუსიკო სკოლები (4 სამუსიკო სკოლა), სადაც 157 მასწავლებელი ემსახურება 1100 მოსწავლეს. სამუსიკო სკოლებში გამოიცვალა ნაწილობრივ კარ-ფანჯარა, სრულად გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა, გამოიცვალა ელ-გაყვანილობა. №1 სახელოვნებო სკოლის დარბაზი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. სამუსიკოს კოლებში საჭიროა ახალი ინვენტარის შეძენა და ტექნიკით აღჭურვა;

გ) მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, სადაც 13 მასწავლებელი ემსახურება 400 მოსწავლეს. ცენტრისაჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.

პრიორიტეტად მიჩნეულია სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრი მოსწავლეები (არა უმეტეს 100 მოსწავლისა თითოეულ ერთეულში). პრივილეგიით სარგებლობენ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები; შეზღუდული შესაძლებლობის ქონე მშობლების შვილები; მოსწავლეები, რომლებიც საჭიროებენ სისტემატურ მკურნალობას; მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვები; მარჩენალდაკარგული ოჯახების შვილები; ობოლი, მართხელა დედის (მამის) შვილები; მრავალშვილიანი (3 ან მეტი შვილი) ოჯახების ბავშვები; ერთ სასწავლებელში ჩარიცხული 2 ან მეტი ბავშვიდან 1 მოსწავლე; წარჩინებული მოსწავლეები, რომლებიც გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით და აქტიურად არიან ჩართული სკოლის, ქალაქის და ა.შ. გამართულ კულტურულ ღონისძიებებში. სამუსიკო სკოლებში სწავლის

საფასური განისაზღვრება 120 ლარით წელიწადში, 550 ლარი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. განსაზღვრული ლიმიტის ზევით, შედავათებით სარგებლობენ აგრეთვე ვეტერანი მშობლების და დევნილი ოჯახის შვილები.

ქალაქის საგანმანათლებლო სისტემას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - რესურს-ცენტრი. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში 35 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა, მათ შორის 9 კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა 20748-ია, მათ შორის 1884 კერძო სკოლაში. მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში გაზრდილია 1104 ერთეულით, მათ შორის კერძო სკოლაში შემცირებულია 332 ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 1613, მათ შორის 325 კერძო სკოლაში. მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 3 ერთეულით, მათ შორის კერძო სკოლაში - 50 ერთეულით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 12,9, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გაზრდილია 0,7-ით.

რუსთავში ფუნქციონირებს ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებელი „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი“, რომელიც ახორციელებს საბაკალვრო აკადემიურ პროგრამებს შემდეგ სპეციალობებზე:

- დაწყებითი განათლება;
- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- ბიზნესის ადმინისტრირება;
- ტურიზმი.

რუსთავში ფუნქციონირებს პროფესიული სწავლების ცენტრი „მოდუსი“, რომელიც 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა. ცენტრი ახორციელებს სახელობ-საგანმანათლებლო პროგრამებს, სადაც სწავლება სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით 1-დან 12 თვემდე მიმდინარეობს.

## 5.2 კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

რუსთავში ფუნქციონირებს რუსთავის ისტორიული მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1950 წ. 1953 წლის 1 მარტს გაიხსნა პირველი ექსპოზიცია. ამჟამად მუზეუმში თავმოყრილია 30 000-მდე ექსპონატი, ძველი (ძვ.წ. XVIII – ახ.წ. XVIII სს.) და თანამედროვე რუსთავის (XX ს. II ნახევარი) ისტორიის ამსახველი მუდმივმოქმედი ექსპოზიციები, სამეცნიერო, საგამოფენო, საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილებები. რუსთავის ისტორიული მუზეუმი საჭიროებს გათბობის, ვენტილაციის და კლიმატ-რეჟიმის სისტემების მოწყობას.

ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი, რომელიც 500 მაყურებელზეა გათვლილი. 2012 წელს განხორციელდა თეატრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. მიუხედავად ამისა, თეატრი საჭიროებს რეაბილიტაციას გასაკეთებელია შესასვლელი ფოიე, გადასახურია ჭერი, სარემონტო ადმინისტრაციის ოთახები, სარეაბილიტაციო სველი წერტილები, სასურველია შეიცვალოს სცენა და თეატრი აღიჭურვოს თანამედროვე აპარატურით.

საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელია ქალაქს ქონდეს საგამოფენო დარბაზი, მწერალთა სახლი, ჰქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი კულტურის ცენტრი, გარემონტებული და კეთილმოწყობილი დარბაზით.

ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრის“ კულტურის ცენტრში გამოიცვალა კარ-ფანჯარა, ჩატარდა შიდა კოსმეტიკური რემონტი. საჭიროებს გარე ფასადის რეაბილიტაციას, დარბაზის სრულ რეაბილიტაციას, გათბობის სისტემის მოწყობას და თანამედროვე აპარატურით აღჭურვას. კულტურის ცენტრის დარბაზის რემონტი მოხსნის უამრავ პრობლემას, ვინაიდან სივრცე არის საკმაოდ დიდი და დატვირთვაც შესაბამისი შეიძლება მიეცეს. გამომდინარე აქედან, რომ არარის პირობები (განსაკუთრებით ზამთარში) ვერ ფუნქციონირებს სათანადოდ. აღსანიშნავია აგრეთვე რუსთავის ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზი, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს და მნიშვნელოვანია თავისი უნიკალურობით, მსგავსი მხოლოდ კონსერვატორიის დარბაზია. სკოლა დიდი ხანია უკვე ვერ უზრუნველყოფს კონცერტების მაღალ დონეზე ჩატარებას, რადგან დარღვეულია მისი აკუსტიკური წონასწორობა, რის გამოც ვეღარ აღიქმება კონცერტის აკადემიური ხარისხი. მიუხედავად ამისა, სკოლის კედლებში მრავალი კონცერტი, სიმფონიური სადამო, სპექტაკლი, შეხვედრა ტარდება დღესაც. ასეთ ღონისძიებებს ჰყავს უამრავი მაყურებელი, მათ შორის, უცხოელი სტუმრები.

ამჟამად, ქალაქში ფუნქციონირებს საბიბლიოთეკო ქსელი, რომელიც მთავარ ბიბლიოთეკასა და სამ ფილიალს აერთიანებს. საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნის ფონდი 200 000-მდე წიგნსა (ბეჭდური ეგზემპლარი) და პერიოდიკას შეიცავს და განახლებადია. ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანებას 2014 წლის მონაცემებით, დაახლოებით 10 000 მუდმივი მომხმარებელი ჰყავს. 2010-2015 წლებში ბიბლიოთეკის შენობისა და სამკითხველო დარბაზის მოდერნიზაცია-განახლება მოხდა. საბიბლიოთეკო გაერთიანება, ძირითადი საქმიანობის გარდა, სხვა სახის საგანმანათლებლო-კულტურულ საქმიანობასაც ეწევა. იგი ხშირად მასპინძლობს სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციებს, კონკურსებს, წიგნის პრეზენტაციებსა და წიგნის ავტორებთან შეხვედრებს. 2008 წელს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭრით, განათლების და კულტურის ამერიკული ცენტრი-„ამერიკის კუთხე“ გაიხსნა, სადაც მკითხველს შესაძლებლობა აქვს, გაეცნოს ამერიკულ მხატვრულ, სამეცნიერო ლიტერატურასა და ამერიკულ პერიოდულ გამოცემებს. ასევე ფუნქციონირებს კინოკლუბი და ინგლისური ენის შემსწავლელი საბავშვო კლუბი, მუდმივად იმართება კონკურსები და ტრენინგები. „ამერიკის კუთხე“ ხშირად მასპინძლობს შეხვედრებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან, საელჩოს წარმომადგენლებსა და სხვა საპატიო სტუმრებთან. ა(ა)იპ „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, პროგრამული დაფინანსების საფუძველზე ფუნქციონირებს. გარემონტებულია საბიბლიოთეკო ქსელში შემავალი ცენტრალური და საბავშვო ფილიალი. 2015 წელს #1 და #4 საბავშვო ფილიალში მოხდა კარ-ფანჯრის შეცვლა და ფასადის რეაბილიტაცია. ყოველწლიურად ახლდება წიგნის ფონდი. ამ ეტაპისთვის #1, #4 და #3 ფილიალები საჭიროებს რეაბილიტაციას. თანამედროვე მომსახურებისთვის დამატებით საჭიროებს კომპიუტერულ აღჭურვას.

1968 წლიდან არსებობს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“. ასევე ფუნქციონირებს ქალთა ანსამბლი „თუთარჩელა“, ანსამბლი „მე რუსთველი“. ქალაქის მასშტაბით



ფუნქციონირებს სამუსიკო სასწავლებლები, კულტურის ცენტრი და კულტურის სახლი, ხელოვნების სკოლა, სამხატვრო სკოლა, ფოლკლორის სკოლა, კამერული და ხალხურ საკრავთა ორკესტრები.

ქალაქის ისტორიული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „არემის ციხე“ და ძველი ნაქალაქარი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

სპორტის ინდივიდუალური სახეობების უკეთ მართვის მიზნით 2010 წელს შეიქმნა მუნიციპალური ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი“, რომელმაც მანამდე არსებული 4 სასპორტო სკოლა და ქალაქში არსებული სპორტული ბაზები გააერთიანა. ამჟამად ქალაქის ტერიტორიაზე ერთი ცენტრალური სტადიონი, ერთი რაგბის სტადიონი, 6 მცირე საფეხბურთო სტადიონი, ჩოგბურთის კორტები, 3 საცურაო კომპლექსი და კალათბურთის დარბაზი და რამოდენიმე მცირე დარბაზია განთავსებული. 2015 წლიდან უფა-სა და ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით რუსთავში შენდება ფეხბურთის აკადემია, რომელშიც განთავსდება 140 ადამიანზე გათვლილი სასტუმრო სამედიცინო განყოფილებით, ფიტნეს-ცენტრი, აუზი, 6 საფეხბურთო მოედანი (3 ხელოვნური, 3 ბუნებრივი ბალახი). დახურულ სივცეში განთავსდება ხელბურთის, კალათბურთის, მინი ფეხბურთის და ჩოგბურთის მოედნები (ამჟამად გარკვეული პრობლემების გამო ფეხბურთის აკადემიის მშენებლობა დროებით შეჩერებულია).

2015 წელს დაიწყო და 2016 წელს დასრულდა რუსთავის ქიმიკოსთა სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი (მის. რუსთაველის 30 ა), ასევე გარემონტდა ჭიდაობის პატარა დარბაზი (მის. ვახუშტის #5). 2017 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია ჭიდაობის დიდი დარბაზის რეაბილიტაცია (მის. ლომოურის #6). სრული რეაბილიტაცია ჩატარდება ფოლადის დარბაზსაც (მის. ნიკოლაძის #5)

ცენტრს მწვრთნელები და აღსაზრდელები ყავს სპორტის 24 სახეობაში, (მიმდინარე წელს სპორტსმენი 1100, მწვრთნელ-მასწავლებელი 75). ძალიან მაღალია სპორტსმენ- მოსწავლეების აქტივობა, თუმცა ა(ა)იპ-ს არ აქვს საკმარისი ბაზები მათ მისაღებად, სპორტული დარბაზების უმეტესობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.

ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული კლუბები: შპს "რუსთავის რუსთავი", შპსსაკალათბურთოკლუბი „რუსთავი 1991“ და მუნიციპალური ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“, სადაც მომზადებას გადის 394 სპორტსმენი.

ქალაქში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ბაზები:

- კალათბურთი - 1 სპორტულიდარბაზი;
- ფრენბურთი - 2 სპორტულიდარბაზი;
- ხელბურთი - 1 სპორტულიდარბაზი;
- ჭადრაკი - 4 სპორტულიდარბაზი;
- ჩოგბურთი - 1 სპორტულიმოედანი;
- საცურაოაუზი “რუსთავარენა”;

- მხატვრული ტანვარჯიში - 2 სპორტული დარბაზი;
- სპორტული აკრობატიკა - 1 სპორტული დარბაზი;
- კრივი - 4 სპორტული დარბაზი;
- თ/ჭიდაობა - 2 სპორტული დარბაზი;
- ბ/რჭიდაობა - 3 სპორტული დარბაზი;
- ქართული ჭიდაობა - 1 სპორტული დარბაზი;
- ძიუდო-სამბო - 2 სპორტული დარბაზი;
- ფარიკაობა - 1 სპორტული დარბაზი;
- ძალოსნობა - 2 სპორტული დარბაზი;
- მძლეოსნობა - 1 სპორტული დარბაზი;
- ადმ. ორთაბრძოლა, ტაეკვონდო - 1 სპორტული დარბაზი;
- უ-შუ - 1 სპორტული დარბაზი;
- მკლავჭიდი - 1 სპორტული დარბაზი;
- ბატუტი - 1 სპორტული დარბაზი;
- კუნგ-ფუდასანდა - 1 სპორტული დარბაზი;
- ფეხბურთი - 4 სპორტული მოედანი;
- ნიჩბოსნობა - ქ. რუსთავის პარკი.

რუსთავში ახალგაზრდული ინიციატივების წახალისებისა და ახალგაზრდობის საქმეთა ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ 2012 წელს ა(ა)იპ „ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“ ჩამოყალიბა, რომლის ძირითადი მიზანია რუსთაველი ახალგაზრდობის ინტელექტუალური და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ცენტრის ეგიდით იგეგმება როგორც საგანმანათლებლო, ასევე, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა. ცენტრის პროგრამებს 5 010 ბენეფიციარი ჰყავს.

## 6. გარემოს დაცვა

ქ. რუსთავის წყლის რესურსები წარმოდგენილია მდ. მტკვრით, მიწის ქვეშა წყლებით და მდინარის ჭალაში არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიებით. ქ. რუსთავში პარკებს და ნარგავებს 34.3 ჰა. უჭირავს. პარკი მოთავსებულია ქალაქის პერიფერიაში, სამხრეთ-დასავლეთ კიდესთან. ამის გარდა, ქალაქის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ჭალაში 1,125 ჰა ჭალისპირა ტყეებია.

უკვე 20 წელია მწყობრიდანაა გამოსული და არ ფუნქციონირებს ქალაქის საირიგაციო სისტემა. მდინარე მტკვარზე იყო რამდენიმე ბაზა, საიდანაც ქალაქს ტექნიკური წყალი მიეწოდებოდა. ბაზები აღარ არსებობს, ასევე განადგურებულია საირიგაციო სისტემის მთელი ინფრასტრუქტურა. ქალაქის სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის საჭიროა აშენდეს ახალი სატუმბო სადგური და შეიქმნას ახალი სისტემა.

ქალაქ რუსთავისთვის სახასიათოა ძლიერი ქარი, წყალდიდობები, მდინარის ნაპირების წარეცხვა და თავსხმა წვიმები. ასევე, ეს ბუნებრივი მოვლენები უკანასკნელ წლებში გახშირებულია, საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ ტერიტორიებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. მთ. იაღლუჯასთან, რომელიც ქალაქის განაპირას მდებარეობს, ირეცხება მდინარის მარჯვენა ნაპირი. მოწოდებული ცნობით, ეს ინერტული მასალის ინტენსიური მოპოვების გამო ხდება. სტიქიური მოვლენების პრევენციისთვის სისტემატიურად იწმინდება სანიაღვრე სისტემა და ტარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები.

საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია ქალაქის ყველა ნაწილში. საკანალიზაციო სისტემის მდგომარეობა საშუალოა, ხოლო წყალგამწმენდი ნაგებობა არ ფუნქციონირებს, ვინაიდან ნახმარი წყლები კოლექტორით მიერთებულია თბილისი-რუსთავის წყალგამწმენდ კოლექტორთან, სადაც ხდება მისი საბოლოო გაწმენდა.

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე, საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის მიერ შეიქმნა ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავება“, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებას. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენების-გატანას, მას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კერძო ორგანიზაცია, რადგან მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთრებაში არსებული სპეც. მანქანები, შესაბამისად ყოველწლიურად ხდება აღნიშნულ მომსახურებაზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება. უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტი გეგმავს შეისყიდოს 5 სპეცმანქანა და მუნიციპალურმა ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავებამ“ უზრუნველყოს ნარჩენების შეგროვება და გატანა. სპეციალური ტექნიკის შეძენა მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით ხდება. პროექტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) აფინანსებს.

მუნიციპალიტეტი სარგებლობს ნაგავსაყრელით, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კუთვნილებაშია დამდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფ.გამარჯვებაში.ის ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი BP-ის და SIDA-ს დაფინანსებით ამოქმედდა. ნაგავსაყრელი ფუნქციონირებს სრული დატვირთვით, რაც ააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ნაგავსაყრელზე ხორციელდება ნარჩენების მართვა და დახარისხება ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ქალაქში არ გვხვდება არალეგალური ნაგავსაყრელები.

დასუფთავების სამსახური ემსახურება მთლიან მოსახლეობას. ერთ სულ მოსახლეზე წარმოიქმნება 0.23 მ3 ნარჩენი. წელიწადში ნაგავსაყრელზე განთავსდება 28,080 მ3 ნარჩენი. ნაგვის შემკრები კონტეინერები განლაგებულია ქალაქის მთელს ტერიტორიაზე. გააჩნიათ როგორც კონტეინერული (50%) ასევე ბუნკერული სისტემა (50%). კონტეინერების საერთო რაოდენობა შეადგენს 1600 ცალს, საიდანაც 900 ლითონისაა, ხოლო 700 პლასტმასის. ნაგავშიდი მანქანების რაოდენობა შეადგენს 24 ერთეულს, საიდანაც 7 კომპაქტორია, 13 თვითმცლელი და არათვითმცლელი 4. სპეც-ავტომომსახურების სამრეცხაო არ გააჩნიათ, თუმცა გაფორმებულია ხელშეკრულება სამრეცხაოსთან.

ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებისა და მყარი ნარჩენების თანამედროვე სისტემის დანერგვის მიზნით, 2017 წლიდან რუსთავის მერია მაღალსართულიან კორპუსებში ნაგვის ბუნკერების დალუქვის პროექტის განხორციელებას იწყებს. საცხოვრებელი შენობებიდან ბუნკერების გატანა ეტაპობრივად ქალაქის ყველა მაღალსართულიან კორპუსში მოხდება.

## 7. ხელისუფლება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი 2006 წლიდან რეგისტრირებულია როგორც თვითმმართველი ქალაქი. 2014 წლიდან ქალაქს მართავს პირდაპირი წესით არჩეული მერი და საკრებულო. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია - რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ რუსთავის მართვის ოპტიმიზაციის მიზნით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი დაიყო 10 ადმინისტრაციულ ერთეულად და დამტკიცდა მათი საზღვრები (დანართი 2). ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულებს ხელმძღვანელობენ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელები.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დასახელებებია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ნიკოლოზ ბარათაშვილი სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ძველი რუსთავის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვახტანგ გორგასლის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ჟიული შარტავას სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის იაკობ ცურტაველის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ცამეტი ასურელი მამის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სამსახურებია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის და კეთილმოწყობის სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლის სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო 25 წევრისგან შედგება. მებუთე მოწვევის საკრებულოს ფრაქციებია:

- ფრაქცია „ქართული ოცნება“;
- ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“;
- ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“;
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

მოქალაქეთა ჩართულობა. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს პროექტს „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“.

პროექტის მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ქალაქში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვაში, რაც ხელ შეუწყობს ანგარიშვალდებულების გაზრდასა და მოქალაქეების მონაწილეობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე.

ამ მიზნის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებს სამი სტრატეგიული ამოცანის შესრულებას: 1. მუნიციპალური ადმინისტრაციული სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერება; 2. დიალოგის განვითარება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ადგილობრივ თვითმართველობას შორის ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების შესახებ; და 3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საქმიანობები: მუნიციპალიტეტის აპარატის საქმიანობის შეფასება; მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესახებ მუნიციპალური სტრუქტურების მენეჯერების ტრენინგი; ღია მმართველობის კონცეფციის დანერგვა ქ. რუსთავის ყველა მუნიციპალურ ერთეულში;

საჯარო დისკუსიების ორგანიზება ბიუჯეტის პროექტისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ; საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ბინათმესაკუთრეთა ამხნაგობებთან შეხვედრების ორგანიზება მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვითი პრიორიტეტების შესახებ; მოქალაქის გზამკვლევის გამოქვეყნება ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ; მედია კამპანიის ორგანიზება; მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის გაძლიერება, მოქალაქეთა მომსახურების ახალი ცენტრების აშენება და „სერვის+“-ის სისტემის დანერგვა; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაფუძნება; საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება ქვეყნის მასშტაბით.

პროექტის ხანგრძლივობაა 2 წელი და ის 2016 წლის 1 მარტს დაიწყო. პროექტის პარტნიორები არიან ინდერლანდების მუნიციპალიტეტების ასოციაცია (VNG) და მუნიციპალიტეტების საერთაშორისო საკონსულტაციო ცენტრი (MEPCO).

**სახელმწიფო სერვისები.** ქალაქ რუსთავში განთავსებულია შსს-ს მომსახურების სააგენტო და იუსტიციის სახლი. უკანსკნელ პერიოდში გაიხსნა ქვემო ქართლის რეგიონული არქივის ახალი შენობა, სადაც უნიკალური საარქივო მასალაა დაცული, პროზაციის ბიურო და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი 112. ქალაქს აქვს საკუთარი გაზეთი და რეგიონული ტელევიზია - ქვემო ქართლის ტელე-რადიოკომპანია.

**ბიუჯეტი**

| დასახელება       | 2014 წლის ფაქტი<br>(ათ. ლარი) | 2015 წლის ფაქტი<br>(ათ. ლარი) | 2016 წლის გეგმა<br>(ათ. ლარი) |
|------------------|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|
| რუსთავის ბიუჯეტი | 38,994.5                      | 42,408.0                      | 50,490.2                      |

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტმა საკუთარი შემოსულობებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების ჩათვლით 50,490.2 ათ. ლარი შეადგინა, რაც ერთ სულ მოსახლეზე 404 ლარს წარმოადგენს. ადგილობრივი გადასახადები ქმნის ქალაქის ბიუჯეტის 27%-ს. დღეისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებს ძირითადად უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები.

ამ დროისათვის შემოსავლების გეგმა 50,490.2 ათ. ლარია, აქედან ადგილობრივი შემოსულობები 21,116.0 ათ. ლარს შეადგენს, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 480.5 ათ. ლარი, გამოთანაბრებითი ტრანსფერი - 11,093.8 ათ. ლარს, მიზნობრივი ტრანსფერი - 500.0 ათ. ლარს, მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შეადგენს - 7,956.3 ათ. ლარს, წინა წლის ნაშთი შეადგენს 9,343.7 ათ. ლარს.

ბიუჯეტის ზრდის და კლების ტენდენციები- 2013-2014 წწ. გაიზარდა 8%-ით, 2014-2015 წწ. გაიზარდა 8%-ით, 2015-2016 წწ. გაიზარდა 19%-ით. (ციფრებში ასე გამოიყურება 2013-35,863.9; 2014-38,994.5; 2015- 42,408.0; 2016- 50,490.2)

2014 წელს ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 11,577.1ათ. ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა – 6,630.3ათ. ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 5,160.0ათ. ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 3,230.8ათ. ლარი;
- გარემოს დაცვა – 2,602.1ათ. ლარი;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 1,367.4 ათ. ლარი.

2015 წელს ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 12,000.6 ათ. ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 7,813.5 ათ. ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა – 5,785.2 ათ. ლარი;
- გარემოს დაცვა – 4,169.1 ათ. ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 3,674.2 ათ. ლარი;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 1,484.6 ათ. ლარი.

2016 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 13,834.8 ათ. ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 13,795.4 ათ. ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა – 6,537.5 ათ. ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 3,963.5ათ. ლარი;
- გარემოს დაცვა – 3,031.3 ათ. ლარი;
- თავდაცვა – 324.3 ათ. ლარი.

8. SWOT ანალიზი

1. ინფრასტრუქტურა

| ძლიერი მხარეები  | სუსტი მხარეები   |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის მდებარეობა-დედაქალაქთან სიახლოვე;</li> <li>• მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და გარე განათება;</li> <li>• საერთაშორისო მნიშვნელობის გზების არსებობა;</li> <li>• წითელ ხიდთან დამაკავშირებელი ავტობანი-მიმდინარე პროექტი;</li> <li>• სატელეფონო და ინტერნეტ კავშირის მიწოდება ფარავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 100%-ს;</li> <li>• ელექტროენერგიით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა;</li> <li>• გაზიფიკაცია;</li> <li>• ფეხბურთის ფედერაციის მიმდინარე პროექტი, ფეხბურთის ბაზის მშენებლობა.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასაკმარისი რაოდენობა და არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურა;</li> <li>• საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;</li> <li>• მაღალი სტანდარტების სასტუმროების სიმცირე;</li> <li>• ტექნიკური წყლის არ არსებობა;</li> <li>• საირიგაციო და სანიაღვრე სისტემის მოუწესრიგებლობა;</li> <li>• მუნიციპალური მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.</li> </ul> |
| შესაძლებლობები   | საფრთხეები   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განაახლება;</li> <li>• საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების მოცულობის გაზრდა;</li> <li>• რუსთავის ტექნიკური წყალმომარაგებისა ღდგენა, რაც შეამცირებს დანახარჯებს სასმელწყალზე.</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი;</li> </ul>  |



2. ეკონომიკა

| ძლიერი მხარეები  | სუსტი მხარეები   |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები სზრდის ტენდენციები;</li> <li>• მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა;</li> <li>• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;</li> <li>• განვითარებული სატრანსპორტო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა (საერთაშორისო აეროპორტის სიხლოვე, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და დედაქალაქთან სიახლოვე);</li> <li>• კარგად ჩამოყალიბებული დამრავალფეროვანი წარმოების ბაზის შემდგომი ზრდის პოტენციალი;</li> <li>• ავტოსავაჭრო ცენტრი;</li> <li>• იაფი მუშახელი;</li> <li>• იაფი საცხოვრებელი ხარჯები.</li> <li>• აქტიური მთავრობა.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე;</li> <li>• მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი;</li> <li>• ინვესტიციების სიმწირე და ინვესტორებთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება;</li> <li>• ბიზნეს ორგანიზაციების ოპერირების დაბალი დონე.</li> </ul> |
| შესაძლებლობები   | საფრთხეები   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• მეწარმეობის განვითარების პროგრამების განხორციელება დონორი ორგანიზაციების მიერ;</li> <li>• ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება;</li> <li>• ენერჯის ალტერნატიული წყაროების ათვისება და გამოყენება;</li> <li>• თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, ცენტრალურ სარკინიგზო მაგისტრალსა და ქვეყნის დედაქალაქთან.</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>• დაბალი საინვესტიციო აქტივობა;</li> <li>• პოლიტიკური არასტაბილურობა;</li> <li>• არასაკმარისი ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ</li> <li>• კვალიფიცირებული კადრების გადინება თბილისში.</li> </ul>  |

### 3. ჯანდაცვადასოციალურიდაცვა

| ძლიერი მხარეები  | სუსტი მხარეები  |
|--|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალური პროგრამების სიმრავლე;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებების არსებობა;</li> <li>• სოციალური საცხოვრისის არსებობა;</li> <li>• მოხუცებულთა სახლი;</li> </ul>                         | <ul style="list-style-type: none"> <li>• უმუშევრობის მაღალი დონე;</li> <li>• უსახლკარო მოსახლეობის მხოლოდ ნაწილია სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილებული;</li> </ul> |
| შესაძლებლობები   | საფრთხეები  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;</li> <li>• სამედიცინო კადრების გადამზადება და პროფესიული განვითარება;</li> <li>• ახალი სოციალური სახლის მშენებლობა;</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი;</li> <li>• სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების მატება;</li> </ul>         |

### 4. განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

| ძლიერი მხარეები   | სუსტი მხარეები   |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადი განათლების სფეროში განხორციელებული და ინფრასტრუქტურის განახლებისა და გაუმჯობესების მიმდინარე პროექტები;</li> <li>• რეფორმებისადმისაზოგადოებისმხარდაჭერა;</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• კვალიფიციური კადრების თბილისში გადინება.</li> </ul>                         |
| შესაძლებლობები  | საფრთხეები   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში ინვესტიციების ზრდა;</li> <li>• საერთაშორისო კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებადამონაწილეობა.</li> </ul>                | <ul style="list-style-type: none"> <li>• განათლების სისტემის სუსტი ადაპტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.</li> </ul> |

**5. გარემოსდაცვა**

| მლიერი მხარეები   | სუსტი მხარეები  |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• მდინარე მტკვრის რესურსი (საკმარისი რაოდენობით ტექნიკური წყლის რესურსი);</li> <li>• მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემა;</li> <li>• მოწესრიგებული დასუფთავების სისტემა.</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• ქარსაცავი ზოლის არ არსებობა;</li> <li>• დიდ სამრეწველო საწარმოებში აირ-ტვერდამჭერი მოწყობილობების არარსებობა.</li> </ul> |
| შესაძლებლობები  | საფრთხეები  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო ბაზრის განვითარება, რაც გაზრდის სამშენებლო მასალებზე მოთხოვნას;</li> <li>• მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლება;</li> <li>• რუსთავი ხვდება ინტენსიური ქარების ზონაში, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ენერჯის მოსაპოვებლად;</li> <li>• ქარსაცავი ზოლი;</li> <li>• მყარი ნარჩენების მართვის მუნიციპალური მომსახურების განვითარება და სპეც-მანქანების შეძენა.</li> <li>• მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლება;</li> <li>• მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება;</li> <li>• გამწვანებითი სამუშაოების ჩატარება</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ატოსფერული ჰაერის დაბინძურება საწარმოო ნარჩენებით.</li> </ul>  |

**9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია**

**რუსთავის განვითარების საშუალოვადიანი ხედვა**

რუსთავის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ სამომავლო მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ წინამდებარე მუნიციპალური პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ

დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდგომარეობის დადგომას, რასაც ქალაქის განვითარების ხედვა ითვალისწინებს.

**ხედვა:** საქართველოს მასშტაბით ქალაქი რუსთავი წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიულ და ლოჯისტიკურ ცენტრს. ინვესტიციებისათვის მიმზიდველი და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ბიზნესის კეთებისა და განვითარების შესაძლებლობებს. რუსთავი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტია, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობებს. ქალაქში საუკეთესო პირობებია შექმნილი მოსახლეობისათვის საცხოვრებლად, განათლების მისაღებად და დასვენებისთვის.

### რუსთავის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

რუსთავის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

**მისია:** მუნიციპალიტეტის მისიაა უზრუნველყოფს ქალაქ რუსთავის ჩამოყალიბება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქალაქად, რის მისაღწევადაც მომდევნო რამდენიმე წის განმავლობაში მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას, რომელსაც უზრუნველყოფს ქალაქის განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის ყველა ფენისთვის უზრუნველყოს თანაბარი განვითარების შესაძლებლობები;
- განახორციელოს სკოლამდელი ასაკის მაღალი ხარისხის განათლებისა და სერვისების მიწოდება;
- სხვადასხვა პროგრამებით უზრუნველყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის შესაძლებლობების შექმნა;
- გააუმჯობესოს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და შესთავაზოს მოქალაქეებს მათზე მორგებული სოციალური პაკეტი;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად, განახორციელოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, შენობა-ნაგებობების, სკვერებისა და დასვენების პარკების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

## 10. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

### 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

#### პრიორიტეტი 1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

##### ღონისძიებები

- ქალაქში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება;
- ქალაქში არსებული გზების რეაბილიტაცია;
- ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნების მოწყობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით;
- ქალაქის მასშტაბით 24-საათიანი რეჟიმის მქონე სათვალთვალო ვიდეო-კამერების მოწყობა;
- ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე საპარკინგე ტერიტორიების მოწყობა;
- საფეხმავლო ბილიკებისა და ტროტუარების, საველოსიპედო ბილიკების მოწყობა;

##### შედეგი

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოწყობილია ასფალტ-ბეტონით;
- უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილება;
- ქუჩები განტვირთულია ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან;
- მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნები მოწყობილია;
- შემცირებულია საგზაო შემთხვევების რაოდენობა.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქის მასშტაბით დამუშავებულია 20,000 კვ.მ. ა-ბეტონის ორმული გზის საფარი;
- ქალაქის მასშტაბით რეაბილიტაცია ჩაუტარდა საერთო სარგებლობის და შიდაკვარტალური 400,000 კვ.მ. ა-ბეტონის საფარის მქონე გზებს;
- ქალაქის მასშტაბით დაიხაზა 26 ერთეული ქალაქის ცენტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის ქუჩა;
- ქალაქის მასშტაბით მოწყობილია 24-საათიანი რეჟიმის მქონე 300 ცალი სათვალთვალო ვიდეო-კამერა;
- ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მოწყობილია 10,000 სატრანსპორტო საშუალებისთვის განკუთვნილი საპარკინგე ტერიტორიები;
- ქალაქის მასშტაბით მოწყობილია 5 კმ. საფეხმავლო ბილიკები, ტროტუარები და საველოსიპედო ბილიკი.

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 10,7 მილიონი ლარის გამოყოფა.  
საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 16 მილიონი ლარის გამოყოფა.

**პრიორიტეტი 1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**ღონისძიებები**

- საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა;
- გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- ქალაქის ეკოლოგიური დაცვა;
- წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია;
- ქალაქის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პრაქტიკა;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეზოების მოწყობა.

**შედეგი**

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- განათებული ქალაქი;
- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- გაუმჯობესებულია საცხოვრებელი კორპუსებისა და ეზოების მდგომარეობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ქალაქის მასშტაბით 20 შენობის ფასადები რეაბილიტირებულია;
- ქალაქის მასშტაბით ყველა უბანი განათებულია და დამონტაჟებულია 300 ცალი სანათი წერტილი LED სისტემის განათებით;
- შექმნილია 8 ერთეული საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისთვის განკუთვნილი სპეც-მანქანა;
- შექმნილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი 200 ერთეული კონტეინერი;
- ქალაქის მასშტაბით სრულად დალუქულია მაღალსართულიანი კორპუსებში არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ბუნკერები;
- რეაბილიტირებულია 10 კმ. წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემები;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილია 100 საცხოვრებელი კორპუსის ეზო;

|  |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• მოწობილია იაღლუჯის მთის ფერდობზე 20 ჰა. სარწყავი წყლის სისტემა.</li> </ul>  |
| <p><b>დაფინანსების წყარო და პერიოდი</b></p> <p>პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 42,4 მილიონი ლარის გამოყოფა.</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 1 მილიონი ლარის გამოყოფა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 100 ერთეული კონტეინერის და 5 ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენას მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) აფინანსებს. მუნიციპალიტეტს სესხის სახით აღებულია აქვს - 891 499 ლარი.</li> </ul> |

|   |
|---|
| <p><b>პრიორიტეტი 1.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები</b></p>   |
| <p><b>ღონისძიებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სკვერების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია;</li> <li>• საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი;</li> <li>• ქალაქში არსებული დეკორატიული კედლებისა და ღობეების რეაბილიტაცია;</li> <li>• სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები;</li> <li>• ავარიულ შენობების გამაგრება-გამლიერების სამუშაოების წარმოება;</li> <li>• ქალაქის მასშტაბით შენობების მისამართის მანიშნებელი ფირნიშების მოწყობა.</li> </ul>  |
| <p><b>შედეგი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქალაქში მოწყობილია დასასვენებელი და გასართობი ადგილები.</li> <li>• ქალაქში არსებული შენობების იერსახე შენარჩუნებულია.</li> </ul>  |
| <p><b>შედეგების შეფასების ინდიკატორები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქალაქის მასშტაბით განახლებულია სკვერები, ძეგლები და მემორიალები (10 ერთეული);</li> <li>• 10 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებს ჩაუტარდა რემონტი;</li> <li>• მომზადდა სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო 400 დოკუმენტი და 100 ექსპერტიზის დასკვნა;</li> </ul> <p>ქალაქის მასშტაბით მოწყობილია 100 ერთეული შენობების მისამართის მანიშნებელი ფირნიშები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქალაქის მასშტაბით გადახურულია 350 ფანობიანი და რბილსაფარიანი შენობის სახურავი.</li> </ul> |
| <p><b>დაფინანსების წყარო და პერიოდი</b></p> <p>პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 4,4 მილიონი ლარის გამოყოფა.</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 6 მილიონი ლარის</p>  |

გამოყოფა.

**პრიორიტეტი 1.4 მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება**

**ღონისძიებები**

- შიდა საქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით;
- მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება.

**შედეგი**

- შენარჩუნდება ქალაქის მუნიციპალური ავტოტრანსპორტზე არსებული ბილეთის ფასი;
- მაცხოვრებელთა დადებითი განწყობა იაფი ტრანსპორტით მგზავრობაზე.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- განახლებულია ავტოპარკი 27 ახალი საქალაქო ერთეულით (ავტობუსი);
- უზრუნველყოფილია პირობები ყოველდღიურად საზოგადოებრივი ტრანსპორტით 50 000 ადამიანის გადაადგილებისთვის.

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1,7 მილიონი ლარის გამოყოფა.

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 0 მილიონი ლარის გამოყოფა.

მუნიციპალური ტრანსპორტის განახლებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება დონორ ორგანიზაციებთან

**პრიორიტეტი 1.5 მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა**

**ღონისძიებები**

- პროექტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში და ტერიტორიულ ორგანოებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- მოქალაქეთა მეტი ჩართულობის მიზნით მათი ინფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის პრიორიტეტების შედგენისას გამჭვირვალეობის გაზრდას და მათი მოსაზრებების ასახვას ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში.

**შედეგი**

- ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.



**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- 3 მუნიციპალური შენობა რეაბილიტირებულია;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არჩეულია მოსახლეობის მიერ და ფუნქციონირებს;
- მინიმუმ 5000 მაცხოვრებელი ჩართულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესში.

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 0,1 მილიონი ლარის გამოყოფა.

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 0 მილიონი ლარის გამოყოფა.

დონორი ორგანიზაცია - ევროკომისია 1,1 მილიონი ლარის გამოყოფა.

**2. განათლება**

**პრიორიტეტი 2.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა**

**ღონისძიებები**

- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია/დამატებითი ჯგუფების გახსნა;
- 2 ახალი საბავშვო ბაღის აშენება;
- არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

**შედეგი**

- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდა;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის პროცესში;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილი მშობელთა გაზრდილი რაოდენობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ქალაქის მასშტაბით აშენებულია 2 საბავშვო ბაღის შენობა
- 20 არსებული საბავშვო ბაღის შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია და აღიჭურვა საჭირო ინვენტარით.

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 24,7 მილიონი ლარის გამოყოფა.

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 5 მილიონი ლარის გამოყოფა.

**პრიორიტეტი 2.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის ხელშეწყობა**

**ღონისძიებები**

- ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“-ის დაფინანსება;
- ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსით და სხვადასხვა პროგრამებით უზრუნველყოფა.

**შედეგი**

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- 200-მდე ბენეფიციარი სარგებლობს ცენტრის სარეაბილიტაციო კურსით და სხვადასხვა პროგრამებით უზრუნველყოფა.

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1,5 მილიონი ლარის გამოყოფა.

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 0 მილიონი ლარის გამოყოფა.

**3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

**პრიორიტეტი 3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

**ღონისძიებები**

- სპორტული სკოლების ხელშეწყობა;
- სპორტული კლუბების ხელშეწყობა;
- საბავშვო და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

**შედეგი**

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში ადგილობრივი და საქალაქთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ქალაქის მასშტაბით მოეწყო 100 სპორტული მინიმოედნი;
- ქალაქის მასშტაბით მოეწყო 100 საბავშვო გასართობი კუთხე;
- რეაბილიტირებულია ქალაქ რუსთავი რუსთაველის ქუჩა #30-ში მდებარე სპორტული კომპლექსი.

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 12,1 მილიონი ლარის გამოყოფა.  
საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 4 მილიონი ლარის გამოყოფა.

**პრიორიტეტი 3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

**ღონისძიებები**

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება;
- სახელოვნებო სკოლების მხარდაჭერა;
- კულტურის სახლების ხელშეწყობა;
- მუზეუმის ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკების ხელშეწყობა;
- კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაცია;
- კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია.

**შედეგი**

- საზოგადოების მონაწილეობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში;
- ქალაქში დასასვენებელი, გასართობი და ადგილების არსებობა;
- ქალაქის მასშტაბით იმართება სხვადასხვა სახის ფესტივალები, კონკურსები და საიუბილეო ღონისძიებები;
- კულტურისა და დასვენების პარკი კეთილმოწყობილია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- რეაბილიტირებულია 3 საბიბლიოთეკო ფილიალის შიდა ოთახები;
- რუსთავის მუნიციპალური თეატრს ჩაუტარდა რეაბილიტაცია/შიდა რემონტი;
- სამუსიკო სკოლის 4 ფილიალს ჩაუტარდა რეაბილიტაცია;
- კულტურის სახლის შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია;
- ახალგაზრდობის სასახლის შიდა ოთახებს ჩაუტარდა შიდა რემონტი;
- ქალაქის მასშტაბით 1 პარკის გამწვანებულია და რეაბილიტირებულია.

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 12,8 მილიონი ლარის გამოყოფა.  
საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 0 მილიონი ლარის გამოყოფა.

**პრიორიტეტი 3.3 ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება**

|   |
|---|
| <p><b>ღონისძიებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ააიპ „ახლაგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“-ის დაფინანსება;</li> <li>• ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობის სხვადასხვა ღონისძიებებში.</li> </ul>   |
| <p><b>შედეგი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქალაქის გავითარებაში ახალგაზრდობის მეტი ჩართულობა და სამომავლო პერსპექტივების ერთობლივი შემუშავება.</li> </ul> <p><b>შედეგების შეფასების ინდიკატორები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულია 23500 რაოდენობის ახალგაზრდა;</li> <li>• ახალგაზრდების ინიციატივებით განხორციელებულია 20 რაოდენობის პროექტი.</li> </ul> |
| <p><b>დაფინანსების წყარო და პერიოდი</b></p> <p>პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 0,7 მილიონი ლარის გამოყოფა.</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 0 მილიონი ლარის გამოყოფა.</p>  |

**4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

|   |
|---|
| <p><b>პრიორიტეტი 4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</b></p>   |
| <p><b>ღონისძიებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;</li> <li>• დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;</li> <li>• ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედება ზემოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;</li> <li>• სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;</li> <li>• ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;</li> <li>• ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.</li> </ul> |

|   |
|---|
| <p><b>შედეგი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაავადებათა გავრცელების შემცირება,</li> <li>• მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა,</li> <li>• ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.</li> </ul> <p><b>შედეგების შეფასების ინდიკატორები:</b></p> |
| <p><b>დაფინანსების წყარო და პერიოდი</b></p> <p>პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1 მილიონი ლარის გამოყოფა.</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 0 მილიონი ლარის გამოყოფა.</p>  |

|  |
|--|
| <p><b>პრიორიტეტი 4.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა</b></p>  |
| <p><b>ღონისძიებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება;</li> <li>• სარიტუალო მომსახურებები;</li> <li>• შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე;</li> <li>• შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე;</li> <li>• ინდივიდუალური დახმარებების პროგრამა;</li> <li>• უხუცეს დღეგრძელთა დახმარება;</li> <li>• რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა;</li> <li>• მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება;</li> <li>• მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;</li> <li>• საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება;</li> <li>• შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;</li> <li>• სტუდენტთა სოციალური დახმარება;</li> <li>• სოციალური საცხოვრისის მშენებლობა;</li> <li>• სოციალური საცხოვრისის შენობების აშენება.</li> </ul> |
| <p><b>შედეგი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქალაქში არსებული სოციალური ფონის გაუმჯობესება;</li> <li>• მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;</li> <li>• ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარება, ყურადღებისა და თანადგომის გამოხატვა.</li> </ul> <p><b>შედეგების შეფასების ინდიკატორები:</b></p>   |

- მუნიციპალიტეტის მიერ ყოველწლიურად დაფინანსებულია 23 რაოდენობის სოციალური პროექტი;
- სოციალური პროგრამით მოსარგებლეა 160 000 რაოდენობის მოქალაქე;
- 50 ოჯახისთვის განკუთვნილი 4 სოციალური საცხოვრისის შენობის აშენება

**დაფინანსების წყარო და პერიოდი**

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 10,2 მილიონი ლარის გამოყოფა.

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაგეგმილია 0 მილიონი ლარის გამოყოფა.

სოციალური სახლების აშენებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება დონორ ორგანიზაციებთან

**დანართები**

**დანართი 1: მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით**

(მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებიდან)

| ქ. რუსთავი | 125 103 | 59 859 | 65 244 | 125 103 | 59 859 | 65 244 |
|------------|---------|--------|--------|---------|--------|--------|
| 0-4        | 10 244  | 5 331  | 4 913  | 10 244  | 5 331  | 4 913  |
| 5-9        | 8 802   | 4 578  | 4 224  | 8 802   | 4 578  | 4 224  |
| 10-14      | 6 922   | 3 617  | 3 305  | 6 922   | 3 617  | 3 305  |
| 15-19      | 7 935   | 4 091  | 3 844  | 7 935   | 4 091  | 3 844  |
| 20-24      | 10 835  | 5 306  | 5 529  | 10 835  | 5 306  | 5 529  |
| 25-29      | 11 555  | 5 719  | 5 836  | 11 555  | 5 719  | 5 836  |
| 30-34      | 10 086  | 5 055  | 5 031  | 10 086  | 5 055  | 5 031  |
| 35-39      | 8 765   | 4 410  | 4 355  | 8 765   | 4 410  | 4 355  |
| 40-44      | 8 286   | 3 950  | 4 336  | 8 286   | 3 950  | 4 336  |
| 45-49      | 7 927   | 3 702  | 4 225  | 7 927   | 3 702  | 4 225  |
| 50-54      | 8 776   | 3 969  | 4 807  | 8 776   | 3 969  | 4 807  |
| 55-59      | 7 701   | 3 455  | 4 246  | 7 701   | 3 455  | 4 246  |
| 60-64      | 6 108   | 2 591  | 3 517  | 6 108   | 2 591  | 3 517  |
| 65-69      | 3 756   | 1 537  | 2 219  | 3 756   | 1 537  | 2 219  |
| 70-74      | 2 611   | 1 031  | 1 580  | 2 611   | 1 031  | 1 580  |
| 75-79      | 2 649   | 876    | 1 773  | 2 649   | 876    | 1 773  |
| 80-84      | 1 349   | 406    | 943    | 1 349   | 406    | 943    |
| 85+        | 796     | 235    | 561    | 796     | 235    | 561    |

დანართი 2: ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულები



დანართი 3: სასტუმროები

| დასახელება                            | ნომრების რაოდენობა |
|---------------------------------------|--------------------|
| სასტუმრო „რუსთავი“                    | 88 ნომერი          |
| სასტუმრო „გრანდ ვეჯინი“               | 57 ნომერი          |
| სასტუმრო „რიო“                        | 14 ნომერი          |
| სასტუმრო „ელიტა“                      | 11 ნომერი          |
| სასტუმრო „აუტოპაპა“                   | 63 ნომერი          |
| სასტუმრო „პრესტიჟი“                   | 8 ნომერი           |
| რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი | 15 ნომერი          |

დანართი 4: ქ. რუსთავის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა

| N  | დასახელება  | 2012 წ. | 2013 წ. | 2014 წ. | 2015 წ. |
|----|---|---------|---------|---------|---------|
| 1  | საავადმყოფოსა და სამედიცინო ცენტრების რაოდენობა   | 5       | 5       | 6       | 6       |
| 2  | ამბულატორიული ცენტრებისა და პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა გარდა სტომატოლოგიური) | 7       | 8       | 8       | 9       |
| 3  | დამოუკიდებელი დისპანსერების რაოდენობა   | 4       | 4       | 2       | 1       |
| 4  | ამბულატორიის რაოდენობა  | 0       | 0       | 0       | 0       |
| 5  | სოფლის ექიმი - მეწარმეების რაოდენობა  | 0       | 0       | 0       | 0       |
| 6  | სასწრაფოდახმარებისადგურების (განყოფილება) რაოდენობა                                       | 1       | 1       | 2       | 1       |
| 7  | სისხლის გადასხმის სადგურების (განყოფილება) რაოდენობა                                      | 1       | 1       | 1       | 2       |
| 8  | ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა  | 257     | 305     | 311     | 303     |
| 9  | საწოლების უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე   | 209.8   | 248.6   | 249.6   | 241.2   |
| 10 | ექიმთა რაოდენობა  | 527     | 578     | 649     | 616     |
| 11 | საექთნო პერსონალის რაოდენობა  | 396     | 356     | 442     | 438     |
| 12 | გეგმიური ქირურგიული ოპერაციები  | 4931    | 3296    | 5060    | 7981    |
| 13 | გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები   | 666     | 617     | 925     | 918     |
| 14 | მშობიარობა, მათ შორის ბინაზე  | 1830    | 1994    | 2226    | 2176    |
| 15 | აბორტების რაოდენობა   | 2487    | 2761    | 2645    | 2669    |
| 16 | ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ სამსახურში მიმართვიანობა  | 180917  | 263436  | 260112  | 254554  |
| 17 | სასწრაფო დახმარების გამოძახება  | 22270   | 34056   | 30186   | 39363   |
| 18 | შაქრიანი დიაბეტი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)                                     | 1969    | 1800    | 2797    | 2974    |
| 19 | გულის იშემიური ავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)                           | 335     | 653     | 832     | 583     |
| 20 | ჰიპერტენზიულიავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)                             | 543     | 1113    | 1762    | 2840    |
| 21 | სიცოცხლეშიპირველად დადგენილიდიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები გულის მწვავეინფარქტით    | 63      | 66      | 29      | 107     |
| 22 | ცერებროვასკულური ავადმყოფობები (წლის ბოლოს იმყოფებიანდაკვირვებაზე)                        | 40      | 55      | 88      | 456     |
| 23 | ბრონქულიასთმა და ასთმურისტატუსი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)                      | 111     | 75      | 58      | 77      |
| 24 | სიცოცხლეშიპირველად დადგენილი დიაგნოზით თრეგისტრირებულ ავადმყოფებიავთვისებიანისიმსივნეებით | 55      | 66      | 67      | 319     |
| 25 | ფსიქიკურიდაქცევითიაშლილობები (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)                         | 5080    | 5147    | 5355    | 5543    |



დანართი 5: მერიის მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები

| პროგრამის დასახელება  | 2014 წ.               |                           | 2015 წ.               |                           | 2016 წ.               |                           |
|---|-----------------------|---------------------------|-----------------------|---------------------------|-----------------------|---------------------------|
|   | ბენეფიციართა აოდენობა | დახმარების საშუალო დენობა | ბენეფიციართა აოდენობა | დახმარების საშუალო დენობა | ბენეფიციართა აოდენობა | დახმარების საშუალო დენობა |
| <b>მერიის მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები</b>   |                       |                           |                       |                           |                       |                           |
| 1. "ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა".  | 1680                  | 11                        | 1690                  | 14                        | 1709                  | 11                        |
| 2. „ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა“  | 2600                  | 3                         | 2650                  | 36                        | 2688                  | 27                        |
| 3. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა“  | 170                   | 12                        | 175                   | 12                        | 181                   | 8                         |
| 4. „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა“  | 6200                  | 37                        | 6300                  | 49                        | 6455                  | 35                        |
| 5. „სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამა“  | 6212                  | 26                        | 6355                  | 23                        | 6571                  | 13                        |
| 6. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა“ | 0                     | 0                         | 0                     | 0                         | 66                    | 37                        |
| 7. „შშპ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა“  | 85                    | 417                       | 132                   | 406                       | 107                   | 461                       |

|  |      |              |      |              |      |     |
|--|------|--------------|------|--------------|------|-----|
| 8. „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“   | 7833 | 25           | 8593 | 25           | 7072 | 25  |
| 9. „მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა“   | 6117 | 100          | 6053 | 99           | 6395 | 102 |
| 10. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა“  | 418  | 1029         | 990  | 619          | 1340 | 454 |
| 11. „მინდობითი ოჯახების კომუნალური დავალიანებების დაფარვის პროგრამა“   | 45   | 503          | 36   | 503          | 32   | 488 |
| 12. „აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა“   | 0    | #DIV/0!<br>! | 56   | 454          | 92   | 509 |
| 13. „ც ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა“   | 0    | #DIV/0!<br>! | 0    | #DIV/0!<br>! | 596  | 64  |
| 14. „უხუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამა“  | 1    | 300          | 2    | 300          | 2    | 300 |
| 15. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო(დაკრძალვის)ხარჯების დაფარვის პროგრამა“  | 9    | 300          | 13   | 300          | 9    | 333 |
| 16. „იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო(დაკრძალვის)ხარჯების დაფარვის პროგრამა“   | 18   | 150          | 14   | 150          | 14   | 150 |
| 17. „მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა სარიტუალო (დაკრძალვის)ხარჯების დაფარვის პროგრამა“  | 2    | 150          | 1    | 150          | 1    | 150 |
| 18. „ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა“  | 58   | 500          | 63   | 391          | 59   | 386 |
| 19. „ 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს თვეში შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების და სამშვიდობო ოპერაციების დროს დაღუპულ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“ | 7    | 500          | 7    | 500          | 11   | 500 |

|   |      |     |      |     |      |     |
|---|------|-----|------|-----|------|-----|
| 20. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დადუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“ | 85   | 100 | 58   | 100 | 60   | 100 |
| 21. „მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“ | 178  | 65  | 166  | 59  | 120  | 60  |
| 22. „სადღესასწაულო სოციალური ღონისძიებების პროგრამა“  | 5359 | 5   | 2580 | 6   | 2580 | 6   |
| 23. „უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა“  | 1800 | 511 | 1800 | 501 | 1700 | 329 |